


## აი, დაღბა გაზაფხული და მარცხდება „კოვიდი“!

ჩვენი სტუმარია 173-ე სკოლა

### მუდამ ძლიერი ლიდერი



ლია თუშური

გრიშაშვილი თბილისზე წერდა: მე შენზე ლექსი არ მომწყინდებაო.

არც მე მომწყინდება ამ დიდ და დიდებულ სკოლაზე საუბარი. დიდი ხანია ვთანამშრომლობთ მის ძლიერ, პასუხისმგებლიან, შეხმატკბილებულ პედაგოგიკურ კოლექტივთან, კარგად მასსოვს: **ჯულიეტა ქარჩავას, მზია გიორგობიანი** და სხვა დირექტორების თავდადებული საქმიანობა.

და დღესაც, ამ გაუსაძლის პირობებშიც, სკოლა თამამად ინარჩუნებს ადრე დალაშქრულ სიმამლებს, უფრო მეტიც, არც ხელმძღვანელები, არც სხვა მუშაკები სრულებით არ გვანან იმ უნიათობებს, რომელთა „ბამბაც ჩხრიალებს“, ამნაირებს ერთმა პოეტმა ასეთი

მოადგილეებს - მანანა გორგასლიძეს, ბონდო დავითურს, სალომე ბეკურიშვილს, ბრწყინვალე პედაგოგებსა და სხვა მუშაკებს კარგად ესმით ორ ფრონტზე ბრძოლის სიძნელეები ამისთვის გათავისებული აქვთ საჭირო მზაობა და შემართება.

შარშან დირექტორზე ვწერდი: „მძიმეა ქუდი მონომახისა“-მეთქი. სხვებისთვისაც არის იგი მძიმე ტვირთი, მაგრამ როცა ასეთი თავდადებაა, მსუბუქად ეჩვენებათ.

მიკერძობად ნუ ჩამითვლით, თუ გავიხსენებ ზოგიერთ ეპიზოდს **ლია თუშურის** პედაგოგიური მოღვაწეობიდან: ის არის პატრიოტი, ჩინებული მასწავლებელი ქართულისა, დიდი დირექტორი ხომ - თავისთავად. დიდხანს თავკაცობდა აზერბაიჯანულ სკოლას მარნეულში და სხვა ეროვნების ახალგაზრდობას ასწავლიდა ქართულს, ამ რთულ რეგიონში მათ უნერგავდა საქართველოს სიყვარულს. ამაზე მეტი პატრიოტობა რა უნდა იყოს?

**ლია თუშური** გახლავთ ავტორი ქართული ლიტერატურის მე-7 - მე-8 კლასების აპრობირებული სახელმძღვანელოებისა. ეს წიგნები დღესაც უნიკალურია. ამჟამად დიდი დირექტორი



დაუნახავი რჩება საზოგადოებისა და განათლების მესვეურთა მხრიდან.

**ლია თუშურის** ღვაწლი ჯეროვნად კი არა, ოდნავადაც არ არის დაფასებული.

ახლა კი მივუბრუნდეთ ჩვენს ძირითად თემას. „ონლაინ“ რეჟიმში ურთიერთობა მაიძულებს, სკოლიდან მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე გესაუბროთ. გთავაზობთ ჟურნალისტურ ექსპერიმენტს: გამოგზავნილ წერილს უკომენტაროდ გადმოგცემთ. მკითხველმა დასკვნა თავად გააკეთოს.

### „ბრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“

**პანდემიის** პერიოდში, როგორც პირველ, ისე მეორე სემესტრში სკოლა სრულად ახორციელებდა, ახორციელებს, იცავდა და იცავს რეგულაციებს. სასწავლო პროცესი სკოლაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს დასწრებულ რეჟიმში, თუმცა არის კლასები, რომლებიც მშობელთა სურვილით გადასულია დისტანციურ სწავლებაზე. რიგ შემთხვევებში კლასში დაფიქსირებული კოვიდ შემთხვევის გამო კლასები ეპიდემიოლოგის რეკომენდაციით გადადიან დისტანციურ სწავლებაზე გარკვეული ვადით.

კვალიფიციური, სტატუსამაღლებული პედაგოგების „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა!“

მენტორი მასწავლებელია **რუსუდან გორგაძე**;

ნამყვანი კი - 17;

➔ **გაგრძელება მე-2 გვ.**



ლალი ასაბაშვილი

### გაზაფხული კვლავ დაიყრის ტანზე კვირტებს

**გაზაფხული** შეიმოსავს მწვანე ფარჩას, ვიცი სოფლად იყვავილებს ჩვენი ბაღჩა. წლები მიდის სიყმანვილე არსად არ ჩანს, ამ ცხოვრების ქარიშხალში, სადღაც დამრჩა.

დავალ ქვეყნად დავატარებ, დარდის ჩანთას, გადამალა, ნუთისოფლის ალთა-ბალთამ. ველარ ვარჩევ, ტყუილისგან ზოგჯერ მართალს, ეს ფიქრებიც თამაშობენ ცეცხლის ალთან.

გაზაფხული კვლავ დაიყრის ტანზე კვირტებს, დავაპურებ, ბალთან ახლოს, მტრედებს გვრიტებს, ვბერდები და გული დარდებს ველარ იტევს, გაზაფხული თვალს ჩამიკრავს, ალბათ, ისევ.



პირველკლასელები რუსუდან გორგაძე - მენტორი

სტრიქონები უძღვნა: „თუ არა გაქვს მართვის ნიჭი, ველარავინ გიშველის, ვერც ევროპა-ამერიკა, ვერც მიხო, ვერც მიშელი“. ხუმრობაც ზოგჯერ საჭიროა, მაგრამ ახლა მთავარ საქმეზე: სკოლის დირექტორ **ლია თუშურს**,

მე-10 კლასის სახელმძღვანელოზე მუშაობს. ვუსურვოთ წარმატება და პოპულარობა!

სამწუხაროდ, კარგა ხანია, ისეთი ვითარება გვაქვს, რომ ღვაწლმოსილ პიროვნებათა ამაგი შეუმჩნეველი,

**მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!**

# ქართულ-ებრაული და-ძმობის მარბალიტები



ბევრჯერ დავაპირე, ამ ღვანღმოსილ პიროვნებაზე წერილის დანერგა, მაგრამ პანდემიისა თუ სხვა მიზეზთა გამო ვერ მოვახერხე. ნათქვამია: სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო. აჰა, ისიც. **რიმა როკეტლიშვილი** დამსახურებული პედაგოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი. დიდი წარმატებით ასწავლიდა მათემატიკას დედაქალაქის საჯარო, კერძო თუ საღამოს სკოლებში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 24-ე საჯარო (მაშინ საშუალო ერქვა, რომელიც უფრო მართებულია) სკოლაში.

ამჯერად ჩვენ სათაურის თემას უფრო ვრცლად გავუყვებით. ქალბატონმა რიმამ და მრავალმხრივ მოღვაწე, დიდად წარმატებულმა პედაგოგმა, ჟურნალისტმა, მეცნიერმა მწერალმა, „ფაზისის აკადემიის წევრმა **ტარიელ მუმლაძემ** ერთმანეთი პედაგოგიურ ასპარეზზე გაიცნეს. ფერი ფერსაო, მაღლი ღმერთსაო. პროფესიით, ხასიათით ერთმანეთის მსგავსებმა ერთად იცხოვრეს მეოთხედ საუკუნეზე მეტი. მათი თანაცხოვრება და მოღვაწეობა არის საუკეთესო ნიმუში, სიმბოლო ებრაული ქა-

ლისა და ქართველი მამაკაცის სულიერი ერთობისა, რუსთველური სიყვარულისა. მათ ოჯახში შეიქმნა სტუმართმოყვარე შტაბი, ანუ სალონი, სადაც იკრიბებოდნენ საზოგადო მოღვაწეები: პედაგოგები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები. მსჯელობდნენ ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე და ამ სალონის **დიდი დიასახლისი** გახლდათ კეთილშობილი **რიმა როკეტლიშვილი**. იგი არამარტო დიასახლისი, ბევრი წიგნის რედაქტორიც არის. ამ სიტყვების ავტორიც ხშირად ყოფილა აქაური სტუმარი. მიმილია სულიერი ტკბობა და სიამოვნება. არასოდეს დამავინწყდება აქ გატარებული წუთები. ძალიან მაგონებს ეს საკრებულო მე-19 საუკუნეში არსებულ მაიკო ორბელიანის ლიტერატურულ სალონს, სადაც თავს იყრიდნენ იმ დროის გამოჩენილი ადამიანები: **ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, დავით დადიანი, ეკატერინე ჭავჭავაძე,**

**ალექსანდრე გრიბოედოვი, ნინო ჭავჭავაძე...** აქ წაიკითხა პირველად **ნიკოლოზ ბარათაშვილმა** თავისი უკვდავი პოემა „**ბედი ქართლისა**“... რიმა როკეტლიშვილის სალონის მჩქეფარე ცხოვრებაზე ვრცლად არის საუბარი **გურამ კუპატაძისა** და **ჯემალ ჯიქიას** წიგნში „**მწერლის ბიოგრაფია**“. გარდა ამისა, ბატონმა ტარიელმა უამრავი ლექსი, ნარკვევი, სტატია მიუძღვნა ებრაელი და ქართველი ხალხების მეგობრობას. რიმა და ტარიელი აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოში ამ თემაზე ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში, ურთიერთობდნენ ისრაელის საელჩოსთან, ელჩთან, აწყობდნენ შეხვედრებს სახელოვან ებრაელ მოღვაწეებთან: მწერალ **ჯემალ აჯიაშვილთან**, კომპოზიტორ და მომღერალ **ჯემალ სეფიაშვილთან** და კიდევ ვინ მოთვლის... დიდმა ებრაელმა **ჯამლეტ ხუზაშვილმა** ბატონ ტარიელს წიგნის პრეზენ-

ტაციაზე „**ლესიმ, ჩემო ებრაელებო!**“ სპეციალური ჯილდო გადასცა. „მაგრამ დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა? თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა!“ „ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად, წარიღვინენ, გაქრნენ სიზმრებრივ ჩქარად!“ ბატონი ტარიელის ავადმყოფობისა და გარდაცვალების შედეგად ყველაფერი თითქოს გაჩერდა. არც რიმას ძალუძს დიდი დიასახლისის ტვირთის ტარება. მაგრამ დარჩა „კეთილი ხე ნაყოფითა“ — ქართველი და ებრაელი ხალხების მარადიული მეგობრობა. ამ კეთილი ნაყოფის შემოქმედს **რიმა როკეტლიშვილს** მტკიცე ჯანმრთელობა და დიდხანს მზის ცქერას ვუსურვებთ!

**ზორის მიშველაძე,**  
პედაგოგიკის დოქტორი

## ჩვენი სტუმარია 173-ე სკოლა

პირველი გვერდიდან

# მუდამ ძლიერი ლიდარი



ლია თუშური მათემატიკის კათედრის წამყვან მასწავლებლებთან ერთად (ნინო ნიქაცაძე, ლია გელაძე) მანანა გორგასლიძე - პირველი მოადგილე

მაკა გეგეშიძე, ლია გელაძე, ირმა გურასპაშვილი, ნინო ვახვახიშვილი, ნანა ზურებიანი, მზია თამაზაშვილი, ლია თუშური, ეკა მალრაძე, მაკა მონონელიძე, ნინო ნემსინვერიძე, ნინო ნიქაცაძე, მზია პატაშური, ირმა ქურციკიძე, ლელა ჩანტლაძე, ევა ცალუღელაშვილი, თამილა ძმანაშვილი

მათემატიკის ენაზე თუ ვიტყვით, საგნობრივი კათედრების მოქნილი მუშაობა პირდაპირპროპორციულია მაღალი შედეგებისა. ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა: დაწყებითების (1-4 კლასი) - ხელმძღვანელი ქეთევან

გზირიშვილი, ქართულის - ნინო გოგრიჭანი, მათემატიკის - ლია გელაძე, უცხოურ ენათა - ნატო ქვრივიშვილი, საბუნებისმეტყველო საგნების - ესმა გეგეშიძე, საზოგადოებრივ მეცნიერებათა - თამარ დედანაშვილი, სპორტის - ლია ტატანაშვილი, 8. ესთეტიკის კათედრა - ხელმძღვანელი ნონა ჩომახიძე.

როგორც პირველ, ისე მეორე სემესტრში მოსწავლეები აქტიურად იყვნენ და არიან ჩართული საინტერესო ოლიმპიადებში („კინგსი“, „ევერესტი“ და სხვ.). ჩვენი სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეები მუდამ აქტიურად მონაწილეობდნენ ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში და არც წლებიანდელი წელი იყო გამონაკლისი.

ვისურვებთ და იმედს ვიტოვებთ, რომ პანდემია მალე დასრულდება და შევძლებთ ისევ დაფუძრუდეთ როგორც ცხოვრების ნორმალურ რიტმს, ისე ხალხიან სასწავლო პროცესს. სკოლები ისევ ახმაურდება და აჟრიაშულდება.”

მასალები მოგვანოდა

### სალომი გაკურიშვილა

როგორც ხედავთ, ამ მშრალი სტატისტიკის ქვეტექსტი იკითხება, როგორც დაძაბული, „შუბლზე ოფლგამომდინარე“, მაგრამ დაულალავი, სიახლეებსა და მაღალ შედეგებზე ორიენტირებული შრომა კოლექტივისა. აქ კარგად ჩანს, როგორ გაუთავისებიათ რუსი და ქართველი მსოფლიო დონის პირთა სიბრძნე: „ის ჯარისკაცი არ ვარგა, ვინც გენერლობაზე არ ფიქრობს“ და „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. ე. ი. მთავარია ზრუნვა პროფესიონალთა აღზრდისათვის.



წნორედ ამაზე მიუთითებს სტატუსამაღლებულ მასწავლებელთა ჩამონათვალი. ბოლოს კიდევ რა ვთქვა? რა და, ყოვლის მხრიდან მოდის ოპტიმისტური სიგნალები: კორონავირუსი ძალას კარგავს და თვის ბოლოდან თანდათან თავდაღმართზე კისრისტეხით გადაეშვებაო. „მესმის, მესმის სანატრელი, „ომიკრონის“ ხმა მტვრევისა... ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში!”

**ზორის მიშველაძე,**  
საქ. დამს. ჟურნალისტი

# ერთ ბუნდად ჩამოყალიბებული სასკოლო საზოგადოება



სოფიკო ქიაურელის სახელობის თბილისის 54-ე საჯარო სკოლა 2018 წელს, ერთ-ერთი პირველი ჩაერთო ახალი სკოლის მოდელის პროექტში. განათლების რეფორმის მიმდინარეობაზე საუბრობს სკოლის დირექტორი ქეთევან ჩოქური. ქალბატონი ქეთევანი თბილისის 56-ე საშუალო სკოლის ოქროს მედალოსანი და მოსკოვის მე-2 სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებით კურსდამთავრებულია. წლების მანძილზე, კლინიკაში მუშაობის პარალელურად, კითხულობდა ლექციებს ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში თერაპიის ფაკულტეტზე. მოგვიანებით, არჩევანი მთლიანად პედაგოგიკაზე შეაჩერდა და 2001 წლიდან განათლების სისტემაში მოღვაწეობს. 2014 წლიდან კი 54-ე სკოლის დირექტორი და ბიოლოგიის ნამყვანი პედაგოგია.

## როგორი იყო თქვენი სამოქმედო გეგმა და განახორციელეთ თუ არა დასახული მიზნები?

როდესაც ვადგენდით სკოლის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, პირველი, რითიც დავიწყეთ, ერთმანეთს გავუზიარეთ ხედვა, თუ როგორი უნდა იყოს სასკოლო გარემო, სასწავლო პროცესი, როგორი უნდა ვიყო ჩვენ, რომ ახალგაზრდებს განვითარებისთვის ოპტიმალური პირობები შევუქმნათ. იყო შეხვედრები მშობლებთან, ჩავატარეთ მოსწავლეების დამოკიდებულებების კვლევა, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჰარმონიული გარემო იქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სასკოლო საზოგადოება შეთანხმებულია ღირებულებებზე, შეჯერებული აქვთ ხედვა სკოლის განვითარებასთან მიმართებაში. შედეგი, რომელიც გვინდა დავდოთ, შესანიშნავად არის განერილი ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, თუმცა, ჩემი აზრით, მთავარი ამ მიზნების განსახორციელებლად, პოტენციალის მობილიზებაა, მხედველობაში მაქვს ადამიანური რესურსი – პედაგოგები, ადმინისტრაცია, მოსწავლეები, მშობლები. მოკლედ სასკოლო საზოგადოების ერთ ბუნდად ჩამოყალიბება, ერთადერთი გზაა მიზნების მისაღწევად და პირდაპირ აისახება სკოლის კულტურასა და სასწავლო პროცესზე.

სკოლაში პროფესიონალი, მაღალი ზნეობის პედაგოგიური კოლექტივია. როგორც თქვენ ბრძანეთ, 50 პედაგოგიდან 14 ნამყვანის სტატუსით, ერთი დამსახურებული მასწავლებელია. ისინი გრძნობენ პასუხისმგებლობას თითოეული მოსწავლისა და მშობლის წინაშე, არ იშურებენ დროსა და ენერჯიას და მუდმივად ზრუნავენ პროფესიულ განვითარებაზე. ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეძელით საუკეთესო პოტენციალის მობილიზება?

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი ჩართულობა „ახალი სკოლის მოდელის პროექტში“, განსაკუთრებით, როდესაც პანდემიამ ერთდროულად ბევრი გამწვანების პირისპირ დაგვყენა. ეს პროექტი ეფუძნება მსოფლიო, მათ შორის ქართული განათლების სამეცნიერო თეორიებსა და საუკეთესო პრაქტიკას. პროექტის ფარგლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტებთან ერთად, ჩვენ ვწერდავთ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას, მარტივად რომ ვთქვა, სწავლებისა და შეფასების ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და განვითარებაზე. ჩვენ ბავშვებს ერთმანეთს კი არა, საკუთარ თავს ვაჯობრებთ, ვაფასებთ არა ნიშნისთვის, არამედ შედეგების გაუმჯობესებისათვის, ვაძლევთ ე. წ. კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც საინტერესო, სახალისო და გამოყენებითია. მოსწავლეს ვუქმნით პირობებს წარმოაჩინოს და განავითაროს შემოქმედებითი უნარები. ზოგადად, ეს რეფორმა ეფუძნება კეთებით სწავლებასა და ცოდნის გამოყენებას. დამეთანხმებით, რომ ეს ყოველივე შეუძლია განახორციელოს მასწავლებელმა, რომელიც თავად გამოირჩევა კომპეტენტურობითა და კრეატიულობით. ამასთან ერთად, მასწავლებელი კარგად უნდა ფლობდეს აიტი ტექნოლოგიებს. ამიტომ ვართ ორიენტირებული უწყვეტ განვითარებაზე. ჩართულები ვართ რამდენიმე საერთაშორისო პროექტში: Usaid პროექტი „სკოლის მენეჯმენტის გაძლიერება საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს კათედრების მუშაობის

სა და შუა რგოლის მენეჯმენტის გაძლიერებას, პროექტს ახორციელებს საქართველოში სკოლის ადმინისტრატორთა ასოციაცია; ასევე, დაწყებითი მასწავლებლებისთვის „ლიდერი მასწავლებლები“. ჯუნიორ ეჩივმენტ საქართველოს – „მენარმეობის საფუძვლები“ და ალტერნატივის პროექტი „საშუალო განათლების დონის გაუმჯობესება და განვითარება საქართველოში.“ სკოლის პედაგოგები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში, ვორკშოპებში, ვებინარებში, ფორუმებში. ვსარგებლობ შემთხვევით და რუტინული, დაულალავი შრომისთვის, საჯაროდ მინდა მადლობა ვუთხრა ყველა პროფესიონალს, პარტნიორებსა თუ რიგით პედაგოგებს, ვინც ჩართულია ამ პროცესში.

## რომელი მეთოდით ხორციელდება სასწავლო პროცესი სკოლაში?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მშობლებს შესაძლებლობა აქვს არჩევანი გააკეთოს სწავლის ფორმასთან დაკავშირებით, დასწრებითი თუ დისტანციური. დასწრებითი სწავლება შერეული ე.წ. ჰიბრიდული მეთოდით მიმდინარეობს, რაც ნიშნავს, რომ მე-7-12 კლასებში 3 დღე დასწრებითი სწავლებაა, 2 დღე კი – ონლაინ.

## რა შედეგი მოგცათ სწავლების ამ მოდელმა?

ჰიბრიდული სწავლება გვაძლევს შესაძლებლობას, ონლაინ გაკვეთილის პროცესში გამოვიყენოთ მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი, აგრეთვე, საშინაო დავალებების კომპონენტი სრულად გადატანილია „თიმსში“ – დავალების ინსტრუქციები, შესრულებული დავალების ატვირთვა, მასწავლებლის უკუკავშირი. დასწრებით გაკვეთილზე მეტ დროს ვუთმობთ სხვადასხვა აქტივობებს, ახალი მასალის განხილვას, განვლილი მასალის განმტკიცებას. თიმსის პლატფორმა ფართო შესაძლებლობებს გვაძლევს, მთავარია, პედაგოგი ფლობდეს კარგად.

## პანდემიიდან გამომდინარე, როგორ მიმდინარეობს კლასგარეშე მუშაობა, რა აქტივობები ტარდება?

არაფორმალური განათლებისა და კლასგარეშე აქტივობების მხრივ, ცოტა ფრთები შეგვეკვცა. თუმცა ჩვენ განვახორციელეთ და ვახორციელებთ დიდ სასკოლო პროექტებს. ეკოლოგიური მიმართულების – „ერთად დავიცავთ გარემო“, კულტურული მრავალფეროვნების მიმართულებით – „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერი.“ დიდი სასკოლო პროექტი გულისხმობს, რომ ჩართული ყველა მოსწავლე თავისი ასაკისა და უნარების შესაბამისად, დაწყებითი, საბაზო და საშუალო ასაკობრივი ჯგუფები, ყველა კათედრა თემატურად და



ინტეგრირებულად, პროექტის ფარგლებში ტარდება ონლაინ კონფერენციები, კეთდება ონლაინ პრეზენტაციები, იქმნება ინტელექტუალური პროდუქტები – ფოტომასალა, ესსეები, ჩანახატები, კომიქსები, ვიდეორგოლები. X-XII კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონკურსში „წერ თავისუფალ თემას;“ VII-XII კლასი – ახალი განათლების მიერ გამოცხადებულ ნოველების კონკურსში „დაწერე ნოველი;“ XI-XII კლასი – კონკურსში „M ვექტორი“. გვყავს გამარჯვებული, რომელმაც მოიპოვა სწავლისა და კამფუსის 100% გრანტი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში. მათემატიკის კათედრაზე ხორციელდება პროექტი „Minecraft Education Edition“. ჩვენი მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად ქმნიან ვირტუალურ სამყაროს, სადაც პრობლემების გადასაჭრელად იყენებენ მათემატიკაში მიღებულ ცოდნას. IX-XII კლასის მოსწავლეებმა სოხუმის დაცემის დღეს მიუძღვნეს ვიდეორგოლები, მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის თემაზე გამართულ კონფერენციაში, თემით „ილორი.“ ეკოკლუბის წევრებმა კი ჩატარეს ონლაინ კონფერენცია თემაზე „მინდა დავიცვა გარემო.“

როგორც ხედავთ, დისტანციური მოდელი უკიდურესად შესაძლებლობებს იძლევა, მაგრამ ვერ აკომპენსირებს ფიზიკურ კონტაქტს, სოციალიზაციის პროცესს. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ, ზოგიერთი პროექტის განსახორციელებლად, ღია სივრცე გამოვიყენოთ. ეკო კლუბის ეგიდით სკოლის ეზოს დასუფთავება და გამწვანება მოხდა. სპორტის პედაგოგები ატარებენ გასვლით გაკვეთილებს, ლაშქრობებს, სასკოლო ჩემპიონატებს კალათბურთში, სკოლა ჩართულია ხელბურთის ფედერაციის ხელბურთის განვითარების პროგრამაში.

განვახორციელეთ პროექტი „არქიტექტურის მრავალსახეობა“, მოვანყვეთ მოსწავლეთა ნამუშევრების, შესანიშნავი ხელნაკეთი მაკეტების გამოფენა. ძალიან მახარებს, ჩვენი ახალგაზრდების თანაგანცდის და

თანადგომის არაერთი პრეცედენტი. მათ წელსაც მოახერხეს ხელნაკეთი ნივთების დამზადება და გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება, ახალგაზრდა ილუზიონისტი, ავთო გოგეშაშვილის დასახმარებლად.

## როგორ ხდება კოვიდ-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვა?

ჩვენ ვმოქმედებთ პროტოკოლის მიხედვით, რომელშიც ზუსტად არის განერილი თითოეული ნაბიჯი. გარდა ამისა, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ვიღებთ რეკომენდაციებს ეპიდემიოლოგებისგან. შიდა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ცალკეული კლასები მყისიერად გადაგვყავს დისტანციურ სწავლებაზე. უზრუნველყოფილი ვართ უსაფრთხოების რესურსების მთელი წლის მარაგით – დეზობარიერები, სადეზინფექციო სხნარები, თერმოსკრინინგის აპარატები, პირბადეები, ერთჯერადი ხელთათმანები. სკოლის ექიმი გადაამზადებულია, შეუფერხებლად ტარდება პედაგოგთა ყოველკვირეული ტესტირება.

## როგორ ფიქრობთ, მიმდინარე მოთხოვნები და მიდგომები რეალურად მოიტანს სასიკეთო ცვლილებებს?

მიმდინარე განათლების რეფორმის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიმაჩნია თანასწორი და პატივისცემაზე აგებული, თანამშრომლობითი ურთიერთობები ყველა მონაწილე სუბიექტს შორის, ვგულისხმობ მასწავლებელს, მოსწავლეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლის ადმინისტრაციას, მშობლებს. დისტანციური, ჰიბრიდული სწავლების ფორმა აძლიერებს ოჯახის როლსა და პასუხისმგებლობას. რომ შევაჯამოთ, ისევე მსოფლიოში წარმატებული განათლების ინდიკატორებამდე მივიღვართ – სკოლამდელი განათლება, კვალდებითი სასკოლო გარემო, მშობელთა ჩართულობა. რეფორმის შედეგები გაზომვადია გრძელვადიან პერსპექტივაში, თუმცა მიმდინარე პროცესები ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს.

# ბიბლიოთეკარი - განათლების მსახური, მზრდელი მნიშვნელობითა



„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“. ნონეშვილის პედაგოგზე ნათქვამს მე წიგნზეც მივყვარები: „ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, წიგნიერი რომ არ ყოფილიყო.“

მუდამ და დღესაც მსოფლიოში წიგნი და განათლება ერთ მთლიან სისტემაში აღიქმება. წიგნის გარეშე არ არსებობს: მეცნიერება, მწერლობა, აღზრდა-სწავლება, კაცობრიობის პროგრესი. - აბა, კომპიუტერი რაღა არისო? - იკითხავს ვინმე. კომპიუტერი ვერასოდეს შეცვლის წიგნს, ჟურნალს, გაზეთს, რადგანაც თავად არის მისი ნაყოფი.

მარტივი დასკვნა ასეთია: წიგნი მუდამ იყო, არის და იქნება კაცობრიობის არსებობა-განვითარების საფუძველი, მისი გზამკვლევი.

ბერძნულად „ბიბლია“ წიგნს ნიშნავს, ბიბლიოთეკარი კი - განათლების, წიგნიერების მსახურია - მოკლედ რომ მოვჭრათ, მასწავლებელი.

დავით აღმაშენებელი თავად იყო დიდი მწიგნობარი და პოეტი, ომის დროსაც ხურჯინით დაჰქონდა წიგნები და გატაცებით კითხულობდა, ჰყავდა განათლების მუშაკები, ანუ მწიგნობართუხუცესები. ასევე იყო თამარ მეფე, თეიმურაზ პირველი, არჩილ მეფე, ვახტანგ მეექვსე, ერეკლე მეორე და სხვები.

წიგნის მნიშვნელობაზე მსოფლიოს გიგანტურ მოაზროვნეებს ვერ შევანუხებ. დიდი ქართველების შეგონება-მოწოდებაც საკმარისია. აი, ორიოდე მათგანი ახლო წარსულიდან: „უნდა ავმაღლდე გარეთ, უნდა განვმტკიცდე შიგნით, თუ სადმე წახვალ არედ, წიგნით და მხოლოდ წიგნით!“ (გალაკტიონი); „გვიყვარდეს, გვიყვარდეს წიგნი! რაც უნდა ისურვო, რაც უნდა ინატრო, ესაა ყველაზე დიდი!“ (მუხრან მაჭავარიანი)

ამ შესავლის შემდეგ კალეიდოსკოპურად უნდა წარმოვიდგინოთ დამსახურებული ბიბლიოთეკარის, ამაგდარი პიროვნების, ერის მსახურის მოღვაწეობის გზა.

„ეთერ ნენგუაშვილი დაიბადა 1940 წლის 20 ივნისს ქალაქ თბილისში.“

მამა - დავით მაგულაშვილი განვეულ იქნა მეორე მსოფლიო ომში, რომელიც 1942 წელს კავკასიის დაცვისათვის წარმოე-

ბულ ბრძოლაში დაიღუპა.

ქ-ნი ეთერი დედამ, თამარ აფციაურმა გაზარდა პაპა-ბებების დახმარებით.

1958 წელს დაამთავრა თბილისის 58-ე საშუალო სკოლა და ჩააბარა პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1965 წელს დაასრულა.

1964 წელს დაქორწინდა გენურ ნენგუაშვილზე, რომელიც თავის მხრივ, მთელი აქტიური ცხოვრების მანძილზე მუშაობდა სპორტის პედაგოგად. მათ შეეძინათ ქალ-ვაჟი: მაია ნენგუაშვილი - ამჟამად თბილისის ევროპული სკოლის ისტორიის პედაგოგი. კობა ნენგუაშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ამჟამად სსიპ ქალაქ თბილისის 195-ე საჯარო სკოლის დირექტორი.

1967 წელს ქ-ნმა ეთერმა მუშაობა დაიწყო ბიბლიოთეკის გამგედ ალ. ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკის 50-ე ფილიალში - ბაგებში. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე არნახული სიყვარულით უფრთხილდებოდა ბიბლიოთეკას, გამუდმებით ზრუნავდა წიგნთსაცავის დაცვაზე, განახლებაზე და სრულყოფაზე. დიდი რუდუნებით უწერდა ახალგაზრდა თაობებს წიგნისადმი სიყვარულს. მათ მოსაზიდად სისტემატურად მართავდა ქართველი და მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებისადმი მიძღვნილ საიუბილეო თუ შემეცნებით ღონისძიებებს.

მისი დამსახურებით ბაგების ბიბლიოთეკას სტუმრობდნენ არამარტო მოსწავლე-ახალგაზრდები, არამედ ცნობილი საზოგადო და სამეცნიერო მოღვაწეები (თედო სახოკიას ქალიშვილი - თინათინ სახოკია, აკად. ნოდარ ლომოური, პროფ. ლია ძაძაძია, პროფ. ბორის სოხვაძე, პროფ. თენგიზ სანიკიძე, პროფ. ლიანა ფერაძე, პროფ. ჯემილა მესხია, პროფ. შუქია აფრიდონიძე, პროფ. შანშე დარჩიაშვილი, პროფ. ნანა კოპალიშვილი, კახმე, მამუკა და ბუბა კუდავები და სხვ.). იქ გატარებული ყოველი დღე ადამიანებს უდიდეს სიხარულსა და სულიერ სიამოვნებას ანიჭებდა.

2011 წელს ქ-ნი ეთერი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. მინიჭებული აქვს „საპატიო ბიბლიოთეკარის“ ნიშანი.

სამწუხაროდ, ბოლო ხანებში ასეთი ადამიანები ჯეროვნად არ არიან დაფასებულნი. ალბათ იმიტომ, რომ არიან ნაკლებად ამბიციური. მუშა ფუნქციონირით ჩუმად ფუსფუსებენ და დიდ საქვეყნო საქმეს აკეთებენ. ამ დროს იტყვიან ხოლმე: „მათი კალიც არ ხმაურობს, როცა ზოგიერთების ბამბაც ჩხრიალებსო“. ვინ მოთვლის, ქალბატონი ეთერის აღზრდილი რამდენი გამოსულა დიდი მამულიშვილი, მეცნიერი, მწერალი, ხელოვანი, განათლებისა და კულტურის მოღვაწე.

ვაჟა-ფშაველა წერდა: „ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია ღმერთადაო“.

ასეა: მისი ღვაწლია, რომ სახელოვანი შვილი ჰყავს: ჩინებულ მეცნიერი, თბილისის 195-ე სკოლის შემოქმედი დირექტორი. ასევე, თუ პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად მაინც, ქალბატონის წვლილი ურევია, რომ ამ სკოლას მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. წიგნსაცავს ნაყოფიერად უძღვევს გამოცდილი გამგე იაკობაძე და მოსწავლე-ახალგაზრდობას, პედაგოგექტივის ერთგულად ემსახურება.

ვაპირებდით ქალბატონი ეთერის იუბილეს აღნიშვნას. ორი წელი გავიდა, რაც პანდემიის „წყალობით“ შეწყვეტილი გახდის გამოცემას კანტი-კუნტად თუ ვახერხებდით.

როგორც სკოლები, ჩვენც „ჰიბრიდულად“ ვმუშაობთ. ნათქვამია: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი: ქალბატონი ეთერი ბრწყინვალე პედაგოგიური ოჯახის შემქმნელია: მისი მეუღლე გენურ ნენგუაშვილი დიდი პედაგოგია, განათლების ღვაწლმოსილი მუშაკი, თითქმის ნახევარი საუკუნე ნაყოფიერად იშრომა ამ სფეროში. სხვა დროს, თუ სურვილი იქნა, მის დიდ ამაგს გულთბილ სტატუსს ვუძღვნი.

ღმერთმა გიკურთხოთ მარჯვენა, ქალბატონო ეთერ!

თქვენს პედაგოგიურ ოჯახთან ერთად გისურვებთ მხნეობას, დღეგრძელ მზებრძოლობას!

ბორის მიშველაძე, რედაქტორი

## მუსიკალური სასწავლებელი სანიშნო

# მოსწავლეებს ჭეშმარიტ ხელოვნებას აზიარებენ



მუსიკა და ხელოვნება ეს ის სფეროა, სადაც დიდ ნიჭთან ერთად აუცილებელია გემოვნება და მისი სწორი მიმართულებით განვითარება. მოზარდების შემოქმედებითობა კი, მისი სამომავლო წარმატების გარანტიაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემო და აღმზრდელეები, სადაც მომავალი თაობა ყალიბდება. ამ მხრივ სანიშნო მდგომარეობაა თბილისის მერი ნაკაშიძის სახელობის მე-17 ხელოვნების სკოლაში, სადაც მაღალკვალიფიციური პედაგოგექტივის წყალობით, მოსწავლეები მუსიკასაც სწავლობენ და დიდი ხელოვნებას ეზიარებიან. სკოლა მრავალი ათეული წელია არსებობს და ამ ხნის მანძილზე, ვინ მოთვლის რამდენ მუსიკოსსა და შემოქმედს გაუკვალა გზა.

ხელოვნების სკოლის დირექტორია ფორტეპიანოს

მასწავლებელი და შესანიშნავი ხელოვანი ნელი გვერდიჩაჩუა. იგი, უკვე 54 წელიწადია, დიდი რუდუნებით ემსახურება საკუთარ პროფესიას და თავდაუზოგავად იღწვის სკოლის წარმატებისთვის. ქალბატონი ნელი 12 წელიწადია ხელმძღვანელის პოზიციაზე და ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა. ასევე, აღანიშნავია დირექტორის მოადგილის ნანა მეთოფიშვილის ღვაწლი, რომელიც მხარში უდგას სკოლის მენეჯერს. სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგები კი, დიდი რუდუნებით ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულად განაგრძობენ სკოლის ტრადიციებს.

საგულსხმოა, რომ ამჟამად აქ სულ ასი მოსწავლე ეუფლება მუსიკალურ ხელოვნებას. სკოლის კონტინგენტი, წლების მანძილზე სისტემატურად მონაწილეობდა სხ-

ვადასხვა კონკურს-ფესტივალებში, საიდანაც ყოველთვის სიგელებითა და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. სკოლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტებითა და სასწავლო ლიტერატურით. აქ ფუნქციონირებს სხვადასხვა



მუსიკალური განყოფილებები: საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო, გიტარა) თეორიული სწავლება, საესტრადო სიმღერა, ხალხურ საკრავთა შემსწავლელი ჯგუფები. სკოლაში მოღვაწეობენ კვალიფიციური კონცერტმანისტები.

კვალიფიციური პედაგოგების ნაყოფიერი შრომის შედეგად, აქაური კურსდამთავრებულები სწავლას განაგრძობენ ნიჭიერთა ათნლედში და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში. ეამაყებათ, რომ შმაგი სიხარულაშვილი და ვალენტინა ოგანეზოვა, ნიჭიერთა ათნლედის საფორტეპიანო განყოფილებაზე სწავლობენ, ხოლო გაგი სიხარულაშვილი კონსერვატორიის, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რთული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო და

ლოქდაუნის პერიოდში აქ სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა, რადგან მეცადინეობები ონლაინ ფორმატში მიმდინარეობდა. ამჯერად, ზოგიერთი მოსწავლე, მშობლების განაცხადის საფუძველზე, თავად ირჩევს ონლაინ-ფორმატს. სკოლა აღჭურვილია სადეზინფექციო საშუალებებით და სრული რეკომენდაციების დაცვით ფუნქციონირებს. შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად, მოსწავლეები მონაწილეობენ როგორც საქალაქო ასევე, გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებში.

ასე, რომ, მე-17 ხელოვნების სკოლაში, შემოქმედებითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და წინ დიდი გეგმებია. თვალსაჩინო წარმატების მოლოდინში არიან.

აზია გომოძე



# დედის დღე და გაზაფხული ერთად მოგვლოცნია!



თავს არ შეგანყენთ დედაზე ილიას, აკაკის, ვაჟას გამონათქვამებით. არანაკლებ მომწონს ნონეშვილის სტრიქონები: „დედაც სიცოცხლის დიდო საწყისო, დედაც — ცხოვრების ბურჯო მაგარო, ეს გული შენი გულით ხალისობს, შენი თვალებით ვხედავ სამყაროს“.

ისტორიკოსები ჩემზე უკეთ იცნობენ გაიუს და ტიბერიუს გრაკების დედა კორნელიას.

ძველ რომში სენატის სხდომაზე, სადაც სიმდიდრეთა დეკლარაცია მიმდინარეობდა, მან გამოიყვანა თავისი ვაჟაკები და ამაყად განაცხადა: „აი, ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრეა!“

მინდა პედაგოგიური სამრეკლოდან გავახშიროს საამაყო ხარი: ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც გვყავს მრავალშვილიანი მასწავლებლები. ჯერჯერობით დედაქალაქში ასეთს მხოლოდ ორს ვიცნობ, ორივეს სკოლის დირექტორს: აფხაზეთიდან დევნილ ბელა ხუბუტიას (მე-10 სკოლა) და თენგიზ გულორდავას (106-ე). ორივემ მამულს ხუთ-ხუთი შვილი აღუზარდა. რეკორდსმენი მაინც გახლავთ 107-ე სკოლის ქიმიის ღვანლმოსილი პედაგოგი ლიანა აღდგომელაშვილი ქვემო ქართლიდან. გყავდეს შვიდი შვილი და მეტად ბევრად მეტი შვილიშვილი, ეს ხომ უკვე გმირობაა დიდი. სიტყვა „გმირობამ“ წარსული გამახსენა: მაშინ დანესებული იყო

„გმირი დედის“ ნოდება დიპლომით, სამკერდე ნიშნით და უზარმაზარი პრემიით.

ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო. ცხოვრების მეგზურად, უღლის გამწვავად ქალბატონ ლიანას ბედმა კახელი კაცი, ქვემოქედელი ნოდარ მამუკაშვილი შეახვედრა. გულმა გული იცნო და...

ქართველებს გვაქვს ამაღლებული სიტყვა „მოყვარე“: შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე, კეთილმოყვარე, მამულისმოყვარე, სტუმართმოყვარე... ყველა ეს თვისება კაცობისა მიესადაგება ბატონ ნოდარს. ჰოდა, ერთგულად ჭიმეს უღელი ბედისა. ბედნიერია შეხმატკბილებული ოჯახი.

დიდი ავტორიტეტი აქვს ლიანა მასწავლებელს პედაგოგიკტივში. ყველა პატივს სცემს, აფასებს, განსაკუთრებით კი — დირექტორი მარინე დემეტრაშვილი, მისი მოადგილეები: ზურაბ ჭინჭარაული და ეკატერინე ზარნაძე, აფხაზეთენ ამბადარს წინამორბედი დირექტორები: გიორგი

ტაბატაძე და გიორგი ერაძე. „შვიდი ძმანი გურჯანელი“ — ყველას გაგიგონიათ. ახლა იგი „შვიდნი დანი თბილისელით“ უნდა გადავაკეთოთ. შვიდივე თავის სფეროში თავიანთი ცხოვრების გზაზე წარმატებულნი არიან. შვიდი სიძე გეყოლებათ-მეთქი, — გავეხუმრე ბატონ ნოდარს. მგონი, ახლა კიდევ ეს ხუმრობა.

მოდით, გაიცანით სახელები „შვილთა მრავალთა“: ნინო, ნონა, ნათია, ნატო, ნანა, ანა, ია. აი, კიდევ საამაყო შვილშვილები: ლონდა, საბა, გაბრიელ გულიაშვილები, ლიზი, იოვანე კველიშვილები, ბარბარე და ანდრია მიქელაძეები. მათ დაემატა დემეტრე, ღმერთო, სიკეთე გამოიმეტე! კიდევ მოვიდნენ მაქსიმე და თომა გიგაურები, კიდევ — დანიელი, კიდევ, მალე იქნება. ხედავთ, როგორ მომრავლდნენ ბიჭები? ყველა ასეთია და იქნება, როგორც ქართული ანდაზა ამბობს: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვი-

ლი ჯობდეს მამასა, შვილიშვილი კი — პაპასა“.

მავანი მისაყვედურებს, პათეტიკა ჭარბობს თქვენს წერილშიო. დიახ, ამაღლებულ განწყობას პათეტიკა უხდება.

ლიანა აღდგომელაშვილი კი კვლავ ჭაბუკური გატაცებით იღვწის პედაგოგიურ ასპარეზზე. როცა დაფურეკე, საგაკვეთილო პულტთან იდგა, კვლავ ზრუნულა სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, კვლავ ამ ბრძოლაში დრო მიდის, არ ეშინია „კოვიდის“.

კვლავ უყვართ კოლეგებს, მოსწავლეებს, მშობლებს. ასე იქნება მუდამ.

ყველა დედას და დედობის კანდიდატს, ყველა ქალ პედაგოგს ვულოცავთ 3 და 8 მარტს!

„დედა, ია დაგიკრიფეთ, ლურჯთვალა და კოპონია, ქალთა დღე და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია!“

რედაქტორი

## კავლეს დაბადების დღეა!

## ტიტე ხუხუა — 80

# იბი ყველას მეგობარია



ყველას მეგობარი პავლე მურადაშვილი კაი გვარიანი ასაკისა გამხდარა. ის რომ ყველას მეგობარია, ჩვენც ყველანი მისი მეგობრები ვართ და მის კონკრეტულ წლოვანებას იმიტომ არ ვასახელებთ. ცნობილ თურქოლოგს, პედაგოგს, მთარგმნელს, ყოვლისმცოდნე ხელმარჯვე ოსტატს დაბადების დღეს ვულოცავთ. გულით ყველას გვინდა რალაცით მაინც გამოვხატოთ მის მიმართ მადლიერება...

იმედი გვაქვს მომავალ ათწლეულებშიც ასევე გაგრძელდება... მისი დაბადების დღე — 25 იანვარი მუდამ ზეიმი ჩვენთვის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყველას გვიხარია ჩვენი მეგობარი ყოჩაღად, ჯანმრთელი და შემოქმედებითი აღმავლობით რომ ხვდება თავის დაბადების დღეს, მერე იმის გამო, რომ მის ლამაზ ოჯახში ვიზიტი არ აგვცდებოდა და იყო მესამე მიზეზიც, რომლის საჯაროდ გამხელაც ჩვენთვის მაინცდამაინც სასახელო არ არის, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: მესამე მიზეზი ის იყო, რომ მეორე დღეს, ჩვენს მეგობარ პავლეს, ერთი დიდი პურმარილი ჩვენს ისტორიულ დიდ ეზოშიც მოჰქონდა. სწორედ ამის შემხედვარემ, ჩვენმა დაუფინყარმა მეგობარმა, პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორმა ლევან ჩიქვანიამ გვითხრა: ბიჭებო, სულ რომ პავლეს დაბადების დღეებს ზეიმობთ, თქვენ არცერთი არ ხართ დაბადებულებიო.

ცხონებულმა ლევანმაც იცოდა და ჩვენც, რომ ჩვენზე მეტად პავლეს სიამოვნებდა ის, რაც ჩვენ გვიხაროდა. მისი ბუნება ასეთი! მთელ ჩვენს დიდ ეზოში არავინ არის ისეთი, ვისაც პავლე რაიმეში არ დახმარებია — ინტელექტუალურად, თუ ფიზიკურად. ადამიანები კი არა, ჩვენი დიდი ეზოს თავზე

ფრინველი არ დაფრინავს, პავლეს მადლიერი რომ არ იყოს. ახლა, თითქოს, იუმორისტულად შეიძლება ჩაითვალოს ის, რასაც ახლა ვიტყვით: ყოველ დილით ყვავებს კაკლები მოჰქონდათ პავლესთვის. ის კაკლები პავლეს სახლში კი არ მიჰქონდა, ჩვენ და ეზოს ბავშვებს ურიგებდა მუდამ. ცნობილმა მწერალმა ნარო კოლხელმა ლამაზი ზღაპარი დანერა — „პავლე პაპას კაკლები“ და გამოაქვეყნა ჟურნალში.

ახლა, როდესაც პავლე სისტემატურად აღარ დადის ჩვენს დიდ ეზოში, ყვავებსაც აღარ მოაქვთ კაკლები!

ჩვენს მეგობარ პავლე მურადაშვილს დიდი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გზა აქვს გამოვლილი და დიდი გამოცდილებითაც არის დატვირთული. სადაც კი უშუშავია, პოლიტიკურ, თუ სამეურნეო სფეროში, ყველაზე დიდხანს კი განათლების სისტემაში, ყველგან კეთილი კვალი დასტოვა და საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ეს მარტო მის მაღალ პროფესიულობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმ უპრეტენზიოობითაც, რომელიც მავანს შეიძლება თავმდაბლობად მოეჩვენოს. თავმდაბლობა პრიმიტიულობის ნიშანია, უპრეტენზიობა კი ღირსეული კაცის თვისებაა. ამიტომ უყვართ პავლე პაპა დიდებსაც და პატარებსაც, მცენარეებსაც და ფრინველებსაც. მას რომ თავისი კორპუსის ეზოში გარაჟის სახურავზე ბოსტანი აქვს გაშენებული, ავ თვალს არ დაუნახებია.

მის ოჯახში სტუმრობა ხომ ერთი დიდი სიამოვნებაა, რასაც მის შვილებთან და შვილიშვილებთან ურთიერთობა მოგანიჭებს კაცს.

მეგობარო პავლე, გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ ძალიან ხანგრძლივ ცხოვრებას, მეუღლესთან, შესანიშნავ ქალბატონ ციალასთან, შენს შვილებთან, შვილიშვილებთან, შვილთაშვილებთან და ბაღიშებთან ერთად.

შენი მეგობარი ზურაბ ც., ზურაბ ძ., ზურაბ შ., ზურაბ ა., პეტრა, ბორისი, ბასიკი და ა. შ. ქალბატონების სახელებს არ ჩამოვთვლით, ვინმემ რომ არ იეჭვიანოს.

# პედაგოგი, პრესის მუშაკი, კაცი კოლორიტი



არასოდეს ყოფილა პრაქტიკოსი ჟურნალისტი, მაგრამ ძალიან უყვართ ჟურნალისტიკებს. რატომ? — იყო ჩინებული მასწავლებელი და წლების მანძილზე გამოცემილი „სამშობლოში“ მთავლიტის მასინფორმაციის განყოფილების უფროსი.

აფხაზეთიდან დევნილი ტიტე ხუხუა, კიდევ ცოტა და, 80 წლის გახდება.

წინასწარ ვულოცავთ! სულ სხვა რამეშია მისი პოპულარობის ხიბლი. ამაზე — ქვემოთ.

კალიდოსკოპურად წარმოგიდგინთ მისი ცხოვრების ძირითად მომენტებს: მედალზე დაამთავრა ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდლის საშუალო სკოლა, ასევე წარმატებით — დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ტიტე ხუხუა პედაგოგიური ოჯახის ღირსეული წევრია. მშობლები, ალექსანდრე ხუხუა და ლიდა ხოფერია, მარტვილის რაიონის კინის სკოლაში პედაგოგებად მოღვაწეობდნენ. ჯავშანი იცავდა, მაგრამ პატრიოტი მამა ალექსანდრე ხუხუა დიდ სამამულო ომში წავიდა და დაიღუპა. დედა, ლიდა ხოფერია, კინდლში გადმოვიდა საცხოვრებლად და იქ განაგრძო მასწავლებლობა. ტიტეს ძმა, — ზიგფრიდი მშობლიურ სკოლაში ასწავლიდა მათემატიკას, იყო დირექტორის მოადგილე, დირექტორი. მისი მეუღლე, ნანული შონია ჩინებული მასწავლებელი იყო მათემატიკისა. აქვე ასწავლიდა ქართულს მათი შვილი, ნატო ხუხუა. დევნილობის

შემდეგ მოღვაწეობდნენ თბილისის 167-ე სკოლაში.

ტიტე ხუხუას პედაგოგიული შედეგა აფხაზეთში, სოფელ გერზეულში, შემდეგ გაგრძელდა მშობლიურ სკოლაში. ტიტემ კარგად იცის გერმანული ენა და პარალელურად მიხილ რუხაიას სალამოს სკოლაში ასწავლიდა ამ საგანს და შემდეგ, უკვე ვთქვით, „მთავლიტში“ ნაყოფიერად იღვანა.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვიშეს ვანა?“ დევნილობამ „ტკბილი გაურია მწარე ნაღველი“, გარდაეცვალა დევნილობაში დედა, შემდეგ ძვირფასი მეუღლე ცისანა ჭიხორია, შარშანის კი — ძმა, ზიგფრიდ ხუხუა.

რა არის მისი კოლორიტურობის ჯადო და საიდუმლო? ეს მისი ხასიათია: საკუთარ თავზე მეტად სხვაზე, მეგობრებზე, კოლეგებზე ზრუნვა. მეგობრებთან სწრაფად შეთვისების საოცარი ნიჭი აქვს, ამასთან ერთად ენციკლოპედიური ინტელექტი და მეხსიერება, ტკბილმობარია და თამადაა. ამჟამად უნესიაზეა, მაგრამ ძველებურად კეთილ ადამიანებთან ურთიერთობაში სწორუპოვარია.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო ტიტე, თქვენი დიდი მასწავლებლის, აკაკი შანიძის ასაკობრივი ბარიერის გადალახვას გისურვებთ!

მეგობრების, კოლეგების სახელით: ბორის მიჰვალაძე, ზურაბ ძიბალია და სხვები, „სახალხო განათლება“-ის რედაქცია.

# „პოეზია უპირველეს ყოვლისა“

## ეპიგრანტის კუთხა



### თამაზ პარლიაშვილი ეპიგრანტებს...

აქ, უცხოეთში ხე ხეს არა ჰგავს, უცნაურია ფოთლების ფერი, ზამთარში თუმცა ათბობენ ოთახს, უცნაურია, არ თბება ჭერი...

აფრინდა ტბიდან გედების გუნდი, გადაიფრინა სამშობლოს სერი, უსაქართველოდ თითქოს ვარ გერი და ამ ჩემს კანსაც არა აქვს ფერი...

აქ, ზოგი ლაღობს განცხრომაშია, ზოგი მოსთქვამს და მწარედაც ნანობს, იცი? რას გეტყვი უცნობო ქალო, საქართველოში თევზიც კი გალობს...

ვდგავარ ეზოში, პალმასთან ვტირი, როგორც ობოლი, ეული ქვრივი, შორიდან მოსწანს ჩემი სამშობლო, ჩემი დუღუკი და გუდასტიერი...

სოფელში პატრონს მოვლის ოდა, ჩნდება იმედი ხვალინდელ დილის, ღმერთო იხსენი საქართველო და გადამირჩინე სული ცოდილი...



### ზურაბ კოხალია ნაჩუქარი

ყოველ წამს ისე ვუყურებ, ვით უფლისაგან ნაჩუქარს, არც მინდა ჩემი სახელი დაერქვას, თუნდაც, ამ ქუჩას.

დავდივარ ჩემთვის, ვფუჩუნებ, დარდს არ ვიკარებ არაფრით, არც არვის აღარ ვანუხებ მე ჩემი დავიდარბით.

ნაჩუქარია ყოველი, უფლისას ვამბობ დიდებას, ამ ქვეყნად მიტომ მოვედი, რომ თვით უფალმა ინება.

მადლობა შენდა, უფალო, რადგან ვარ მონა მე ღვთისა, შვილიც ვარ მისი უბრალოდ, სიცოცხლეს მისით მეღირსა.

ჰოდა, ნაჩუქარ ნუთ-ნამებს, ვიცი, ვეპყრობი სათუთად, სულაც არ ვფლანგავ დრო-ჟამეთს, რაც მივითვალე საჩუქრად.




### თამარ ანდრიაძე სიტყვა

იბრწყინებს მუდამ სიტყვა რჩეული, სიტყვა კაზმული, ლექსად ქცეული, როგორც ტერენტი ამ ქვეყანაზე, ალბათ, მასავით მეც ვარ ეული.

პატივი ეცით ჭეშმარიტ სიტყვას, ის ხომ ფუძეა, უფლის რჩეული და არსებობდა დასაბამიდან, იყო პირველი — ღმერთად ქცეული.

ნუ შეურაცხვეყოფთ ჭეშმარიტ სიტყვას ქვეყნად რომ დარჩეს აზრი რჩეული. ასეც იქნება, ილიას მსგავსად თავს თუ შესწირავს თითოეული.



### ნინა ელზა

#### ქვითდახლოდარო

ერთხელ დალაგებაზე ვიყავი ებრაელებთან, ინგლისური არ ვიცოდი, არც ივრითი, რა თქმა უნდა. ქალმა, ფრიდა ერქვა, მომცა მითითება, რა უნდა მექნა და წავიდა. ბავშვები ქმარს მიაჩნია. ქმარი იყო (კულუღიანი ებრაელი) ალბათ 35 წლამდე კაცი. 5 შვილი ჰყავდა და ყველაზე პატარა ხელში ეკავა, როგორც კი დასვამდა, დღნაოდა, მე პარალელურად ვხეხავ და ვგლეჯავ ყველაფერს, ეს ბავშვი არ ჩუმდება დღნავის და დღნავის, არ გინდა მოსმენა? მივედი ახლოს (თან არ შეიძლება მისვლა) გაღიმებული ვეუბნები ამ ბავშვს ერთი მეტრიდან, რას ტირიხარ შე კვახივით გასახეთქო-მეთქი, და გაილურსა, მამას გაეხარდა. გაკვირვებული მიყურებდა. მერე კიდევ ატირდა, გამწარდა ეს კაცი, ხომ ვერ აჩუმებს, ხან ფანჯარას მიასკდა, ხან სათამაშოებში ჩასვა, მოკლედ არ იქნა დანყნარება. ერთი ოცი წუთი ზღუკუნის და ტირილის მერე მომიახლოვდა და ინგლისურად მეუბნება. რა უთხარი, რომ გაჩუმდა, გეხვეწები მითხარიო; ვერ გავიგე რა მითხრა და ვუთხარი, „რიფიით ფლიზ, სლოული-მეთქი“ (ნელა გაიმეორეთ, თუ შეიძლება), კი თითქოს მიხვდები, რომ კიდევ უთხარიო; კიდევ ვუთხარი; შე კვახივით გასახეთქო-მეთქი. გაჩუმდა ხმას აღარ იღებს. ახლა ჩემი ნასვლის დროც მოვიდა, კარებში დამხვდა ფრიდა. და კიბეზე ფურცლით და ფანქრით ქმარი, მეუბნება: „ვრავით იორ მეჯიქ ვორდს“ (დანერე შენი ჯადოსნური სიტყვებით). სხვანაირად რომ ეთქვა ვერ გავიგებდი, მიხვდები, რომ უნდა დამენერა. ვიფიქრე, ეს რომ დავწერო, შე კვახივით გასახეთქო, ვინმეს არ ათარგმნინოს-მეთქი. და ინგლისური ასოებით დავწერე. „ქვითდახლოდარო, ქვითდახლოდარო, ხანჯლის ქვემოთ შაქარია“, აი ასე - „qvitdahlidaro, qvitdahlidaro, khanjilshqvetmot shaqaria“. და ჩქარა წამოვედი, უკან აღარ მიმხედავს. სამი დღის მერე მირეკავენ, მე ვერ ვიგებდი, რას მეუბნებოდნენ და იქვე მდგმურმა მითარჯიმნა, თურმე მაგ სიტყვებით აწყნარებენ ბავშვს და დიდი მადლობაო. ეს რა კარგი რამე გვასწავლეო. ვერი გუდ ვუმენი ხარო.

#### ღვთისმშობლის ქანდაკება

2017 წლის დეკემბერია, გადაღლილი ვარ დალაგებებით, ენა არ ვიცი, არც ახლობლები მყავს გარშემო... ნიუ ჯერსიდან მირეკავს ერთი ქართველი, რომელიც მეუბნება, რომ სადღაც ბრიკში არის კეისი და თუ გინდა მუშაობა დღესვე უნდა ჩამოხვიდეო, მომცა მისამართი და მივდივარ, 13 დეკემბერია, ცივა... ერთი


კი მითხრეს 42 სთრითზე უნდა გახვიდე ბას სთეიშენზე ბილეთი აილო და წახვიდეო. ისე ადვილად ლაპარაკობდნენ ამ მისამართებზე, თითქოს თბილისიდან ზესტაფონში უნდა ჩავსულიყავი, ანდა სულაც მცხეთაში გადავსულიყავი. ავდექი და წამოვედი, ბას სთეიშენზე. გამოვედი გარეთ (მანამ სალაროსთან მივიდოდი) ვიფიქრე, გავაბოლებ და ეგების თავისით მომიფრინდეს სიტყვები და გეგმა ანი რა უნდა ვქნა-თქვა, გამოვედი და გავუკიდე სიგარეტს. ვფიქრობ, ჩემს სტიქიაში ვარ; სად ვარ? სად მივდივარ? ვერ მივაგნებ, რა ცუდად მექცევა ყველა, ხოო, ვერავინ გამომყვება მესმის. ყველა თავის საქმეშია, „დავიკარგები“ ეს სიტყვა განსაკუთრებით მოსვენებას არ მძლევეს. და უცბად სპექტრში, ხედვის კადრიდან ვიღაც ქალი გამოძვრა და პირდაპირ ჩემთან მოდის. გულში ვფიქრობ: აი, მიხვდა რომ საბუთი არ მაქვს. სიგარეტს ვენევი და ჩემთან მოდის. გამიცვივდა შიგნიდან ყველაფერი და კიდევ კარგი დროზე დაილაპარაკა, „სოოოო, დუ იუ ჰევე სიგორეტ“. აუფ რა ამოვისუნთქევე 12 გზის, და მანამ სიგარეტს ამოვიღებდი, ქართულად ამოვიკენესა, ვეცი ქართველი ხართქვა, გულში გავიფიქრე – ამისი როგორ შემეშინდა, კიო. მანაც გაიხარა, ქართველი რომ ვიყავი. შორიდან ძან საცოდავი სახე გქონდაო და რაღაცამ მიკარნახა, რომ შენთან უნდა მოვსულიყავიო. ასე შემხვდა დოდოშკა, ავუსხენი ყველაფერი და მითხრა ბრიკი ორიაო, შენ სად მიდიხარო. არ ვიცი-მეთქი. ვრეკეტ ხან სად და ხან სად. სწორ გზაზე დოდოშკამ დამაყენა. მოკლედ ბრიკამდე თანამგზავრით ტელეფონში მივჯდა დოდოშკა.

მოკლედ ჩამომაცილეს ავტობუსიდან. თითქმის ყველამ გამიცნო ჩემი ფეხებ-ხელებიანი ინგლისურით, მძლოლმა, რომელსაც თითქმის ყოველ გაჩერებაზე ვეძახოდი, ბრიკ ბრიკ-თქო, ბედნიერად გააჩერა ხომალდი (მე ხომ სხვა პლანეტაზე ვიყავი), დამემშვიდობნენ და ჩამოვედი.

ამოვისუნთქე, მარა ახლა რა ვქნა. ვრეკავ ქართველთან, ჩამოვედი-მეთქი, სად ხარო. ბრიკი-მეთქი, კი მაგრამ რა ადგილზეო, რა ვიცი სად ვარ, ახლა მისამართს დავგუგლა-თქო. ვგუგლავ მარა ვერა, ის ქალი იქიდან გიჟს გავდა რატომ არ იცი, სად ხარო,

ასეთი ლაპარაკი აღარც მწყინდა თუნდაც გაველანძღე და არც არაფერი დააკლდა მანდამდე. ერთი დებილი ტელეფონი მქონდა, მეუბნებოდა თავი დამანებე, დედა აღარ მყავსო. მარა არ მოვეშვი, ტელეფონი ამასობაში 20%-ს აჩვენებს, უკვე ბნელდება, აცივდა, შევამჩნიე ბინდბუნდში ვიღაცები გადადიოდნენ რაღაც ხიღზე, იქითკენ გავეშურე. ერთ ქალს ვეკითხები: ვერ იზ ით ბრიკი-მეთქი, ვიზმი იარეო, წავედი, გადავედით ხიდიდან და მომიტრიალდა ეს ქალი და აი, ბრიკიო, მადლობები უხვადე, ან რისთვის. ჩავრთე ჯიპისი, მივეყვები გზას. მირეკავს ეს აგენტო, სად ხარ ნინო, არ ვიცი, ვეუბნები, რაღაც ქუჩაზე ვარ-მეთქი და გაითიშა ტელეფონი. აუფ, მე დამემართაა. მოკლედ არც ენა, არც ტელეფონი, არც ადამიანები, თითქოს სადღაც სკვარამში გაქანდნენ, დავრჩი ასე, საღამოს 8 საათი ხდება, მოდის დიდ ფანტელებიანი თოვლი, და რა ვქნა? ვიარე, ვიარე, ვიფიქრე, სადმე იქნებ კარი გამიღოს ვინმემ, უფ, არც იფიქრო, თან სახლები შორი შორს იდგა, ქალაქი კი ჰქვია, მაგრამ იმერული სოფელივით იყო, მივდივარ, მივდივარ, მცირე ვიყინები, მივადექი ერთ სახლს ვაკაკუნე, არ გამიღეს. კიდევ ვიბოდილე. არა ნუუ კარი არავინ გააღო, ოთხი სახელი დავლაშქრე. ვერა, მივდივარ ერთერთ

ქუჩაზე და მორჩა, დავიკარგე. დაკარგული ვარ. ვფიქრობ ამაღამ აქ გავიყინები, პოლიცია მიპოვის ან რამე შემეჭამს, უკვე ადგილს ვეძებდი თოვლში, რომ კარგად, სანდოდ მოვკალათებულიყავი, ლამაზად მაინც გავიყინო-თქვა, თმებიც გავიშალე. კაპიუშონი წამოვიფარე და მჭიდროდ როგორც კი უნდა მოვზომო ადგილი სიკვდილის მოლოდინში, წინ გამეხედინა, სადღაც 100 მეტრამდე შეიძლება უფრო ნაკლები იყო, რაღაც ანათება მიმზიდველად. თან ისე უხდებოდა სინათლეს თოვა, თუ პირიქით. ერთი კი გავიფიქრე სიკვდილის წინ, ალბათ, მეღანდება უკვე-თქო, რადგან ფეხები მუხლამდე გაყინული მქონდა. ტერფებს ველარ ვგრძნობდი, იქამდე უთოს გასმასავით მიმქონდა ფეხები, მივედი მბრწყინავ ობიექტთან, თვალში მიბნელდება, მოვტყუვდი, ტყუილად მოვედი, მომჩვენა-თქვა, მარა მაინც სად აზრზე მგონია თავი ცნობიერში და ბოლო ძალღონე მოვიკრიბე და მივჩოჩდი. იტალიური ღვთისმშობლის ქანდაკება იდგა ქვემოდან განათებული, ერთბაშად გამოფხიზლდი, ერთბაშად გავთბი, ერთბაშად ამომძრავდა ყველაფერი. ერთი ტელეფონი არ ჩაირთო მარტო. თითქოს ხელი ჩამოენია მიმართულებასავით მძლევედა, უხმოდ დავუჯერე, მოვუარე მარჯვნიდან და დავაკაკუნე კარზე, ერთხელ მორიდებულად, მეორედ გავთამამდი. კარი გაიღო, კარი ქართველმა გამიღო.



### ლანა ბიბილურიძე ჩანახატი

თუ ოდესმე აღმოჩენილხართ გვირილების მდელივით, იცოდეთ უფლის გოლგოთაზე ყოფილხართ!.. ამქვეყნიური სამოთხეა... ქრისტიანებისთვის მარგალიტებივით ბრწყინვალე და მარმარილოსავით ნაზი... თუ საღამოს ქარიც გელამუნებათ, გიშრისფერ თმებს გინუნავთ, გვირილებში წნავთ, ო რა დიდებულა! წყარო, უკვდავების წყაროც, რომელიც მოჩხრიალებს, ილტვის დანამოს ყვავილები, სურს გადაარჩინოს, აცოცხლოს, გაასულიეროს... მთები თოვლისფერი, ცის კიდებე მირაჟი... ზეცამ თითქოს თავი დახარა, დაიმალა... შერცხვა გვირილების დანახვისას, მიიმალა და ფაფუკი ღრუბლების ქულა გამოგზავნა... ორმის ჭაობისფერი შველი განოლილა და ნებერობს... ცისარტყელამ გააფერადა სევდისფერი სამყარო. პეპლების ფრენამ გააცოცხლა და იადონის ელურტულმა უფრო მყოფადი გახადა გარემო... და მართლაც, თითქოს სულიერია მდელი, გვირილების მდელი... როგორ ადამიანივით ჭკნება და ყვავილობს... კვდება და იზადება, გვირილა ლამაზი სიცოცხლის და ლამაზი სიკვდილის სიმბოლო... სანამ ცოცხლობთ ერთხელ მაინც დასხედით გვირილების მობიბინე მდელივით, ერთხელ მაინც იყნოსეთ მისი საოცარი სურნელი, ერთხელ მაინც მოწყვიტეთ და ჩაიფიქრეთ...

გაგრძელება მე-7 გვ.

ლიტერატურული გვერდი

შექვეს გვერდიდან



რუდაქი

როზაიები

ავად შევიქენ, უსასოოდ, მწარობს ყოველი, მწახველად მხოლოდ ციება მყავს, სხვას არვის ველი, არვის ვახსოვარ, წყურვილი მკლავს, წვეთს არვის მასმევს, მარტო თვალბემა გაიმეტეს ეს მლაშე ცრემლი.

აქ ის ბაღია, სადაც ხილს აქვს გემო სამსალის, ბოროტი არის მინაც, წყალიც, და ხე მაღალიც, ამ ჩემს სიცოცხლეს, ვით გამხმარ ტოტს, მოკვეთს მეხადე, მოჭრის და როგორც ქარი ფოთოლს - ნაიღებს ძალით.

ამაო იყო ჩემი ყოფნა და ცრუ ლოდინი, უაზროდ მიჩანს რაც ვაკეთებ, დავალ ცოდვილი, გაქრა ყოველი იმედი და დარჩა ტკივილი, რომელიც ყელში გამჩხერია მწარე ლოდევით.

ვხედავ უწყალო შენს თვალთაგან მალე მოვკვდები, თუმც კი ასეთი ხარ ბუნებით - ამასაც ვხვდები, რატომ მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად - არ ვიცი, შენგვარს - უარეს ათას მტერზე - მე ვერ შევხვდები.

გზააბნეულო, როს სიბერის თეთრს ნახავ თმაში, და უფლის მსჯავრს რომ წარუდგები - რას იტყვი მაშინ, სიცოცხლე ჩვენ ხომ მოგვებოდა ქველ საქმეთათვის, შენ კი გალიე ამაოდ და არაფრის ქმნაში.

სისხლით დაცლილი ჩემი გული გხედავს მზეს ჩასულს, მე ტანჯვითა და თანაც ტკბილად ვიგონებ წარსულს, თეთრად გათუღ გრძელ ლამეებს ამ ჩურჩულს ვაძვან: მასთან შეხვედრის ტკბილ ლოდინში ვიქნები მე სულ!

გზაზე, იქ, სადაც სულ ქარი ქრის - ფარანს რომ ანთებ, ჩაქრება უცებ და ამიტომ სიფრთხილე გმართებს, შეხედე, მაღლა კვამლად ადის ეს ჩემი სული, შენ ვერა ხედავ, მაგრამ მე კი სულ შენ ერთს გაქებ!

\* თვით ქვაც კი უცებ გააპო ჩემმა ტანჯულმა მზერამ, იმ ქვაში ვარდმა იხარა, არვის სწყინდება ცქერა, ყოველი ვარდის კოკორი ჩემს საიდუმლოს მალავს, ცრემლებმა გასცეს გულისთქმა, ის, რაც არ მითქვამს ჯერაც.

\* უწყოდეთ გული ვით გამიხდა კულულთა ტყვედა, ის ინდოეთის მშვენიება, დამმართა ბნედა, ჩუმიად, ქადაგო! მითხარ როგორ ვინამო შენი, როდესაც გულს სურს, რომ უყვარდეს დარდი და სევდა?

\* მე უშენობით არად მიღირს მზის სხივი ციდან, მთვარის ნათელიც თითქოს სადღაც გაქრა, ნავიდა, ყოფნას მე შენთან უკვე ისე ვარ შეჩვეული, რომ თუნდაც ერთ დღეს უშენობას ვერ გადავიტან.

\* სიყვარულისგან მე დავეკარე ყუა, გონება, თუ ვერა გხედავ - რისთვის მინდა ქვეყნად ქონება, არად გიჩანს, რომ მე გულს მანვეს ყაფის მთა, შენ კი მკურდამი რაც გიდეეს - კაცს გრანიტის კლდე ეგონება.

\* რომელიც მიყვარს მე იმ წერილს ვკითხულობ ასჯერ, ვარსკვლავთა შუქი სიხარულის ცრემლებით გავჭერ, ვინც ის დანერა - მე მის კალამს ჩავიდე გულში, სისხლს თუ დამადენს ჭრილობას არ დავავდე ნაჭერს.

\* ეს მე, რუდაქი, დავილაღე ცხოვრებისაგან, თვალი მარჯანზე წითელია ცრემლებისაგან, განშორების ჟამს შემომიჩნდა ეჭვი მსახვრალი: ჯოჯოხეთს დროზე ადრე ხომ არ მოვხვდი ღვთისაგან?

\* ნუ სდევ ამაოს, უზრუნველად გიჯობს იცხოვრო, დრონი გალიო თავისუფლად ყოფნაში მხოლოდ, მდიდრებს და მადღრებს ნურც შეხედავ, არც გმურდეს მათი, იყავი ქველი - ჩვენ ყველას ხომ ერთი გვაქვს ბოლო.

\* მე შენი ნახვის სიხარულით ვერ ვერ ავიგესე, ვერც ეგ ლამაზი სახე გულში გავითავისე, რომ უცებ ციდან მესმა მკაცრი ხმა გამყინავი: „განშორების თასს დაეწაფე, სიმწარით სავსეს!“

\* ქვეყნის მბრძანებელთ მიწის გროვა აყრიათ ახლა, თავი დახარეს სიკვდილის წინ, ახედეს მაღლა, თუმც ბევრი ხევეს სიმდიდრე და დატკბნენ ცხოვრებით, თან ჩაჰყვათ მხოლოდ სამოსი და ამაო დაღლა.

\* დიდი ხნის წინათ ერთმა მითხრა, შემხვედრმა გზაზე (მას შემდეგ მივხვდი, რომ დრო არის ბრძენი ყველაზე): - რუდაქო, გირჩევ სხვისი ბედი აროდეს გმურდეს, რადგან, მერწმუნე, შესაშური თავად ხარ სხვაზე.

\* იმად კი არ მსურს შევიღებო თეთრი თმა შავად, რომ სიყმანვილის შეცოდებით კვლავ გაცხდე ავად, მე მხოლოდ ნუხილს გამოვხატავ, რადგანაც ცვლოვობ, ეს გლოვა ჩემი სიბერისად გაცხადე თავად.

\* თუ შენი თვალი ვერა ხედავს რაც ფარულია, და რაც მუდამაჟამს კაცთაგან მთლად დამალულია, მაშინ ისწავლე გულით ხედავ, რადგან გახსოვდეს - მარადიულს ან წარმავალს რაც ხედავს - გულია.

\* რუდაქო, იყავ სულით მუდამ თავისუფალი, ჭეშმარიტებამ დე, ანთოს შენს გულში ალი, გახსოვდეს ქვეყნად ცოტა არის კეთილი, სათნო, ცუდს მოაცილე და კარგ ნუთებს მიაპყარ თვალი!



სპარსულიდან თარგმნა თსუ ირანისტიკის სპეციალისტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტმა გიორგი სივრაშვილმა.

შენიშვნები: ყაფის მთა - მთა, რომელიც სპარსული მითოლოგიის მიხედვით დედამიწას ერტყმის გარს.

აბუ აბალლაჟა ჯაფარ რუდაქი (დაახლ.860-941) - ერთ-ერთი ფუძემდებელი და ცნობილი წარმომადგენელი სპარსულ-ტაჯიკური პოეზიისა. დაიბადა ს. ფანჯრუდში (ახლა ტაჯიკეთი). უმაღლეს დიდებას და სახელს მიაღწია ბუხარის სამანიდი მმართველების დროს, მაგრამ სიცოცხლის ბოლოს შერისხული იქნა და იძულებული გახდა მშობლიურ ყიშლაღებს დაბრუნებოდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. მისი პოეტური მემკვიდრეობა ერთი ვერსიით ითვლის 130 ათას ორსტრიქონდს, მეორე ვერსიით - მილიონ სამასი ათასს, თუმცა ჩვენამდე მხოლოდ 1000-მა მოაღწია. თავის შემოქმედებაში რუდაქი იყენებს სხვადასხვა პოეტურ ჟანრს: ყასიდებს, ყაზალებს, რობაიებს და სხვ.; მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია ჰუმანურობა, ლაკონიზმი და სტილის უბრალოება.



თამაზ ჩაღუნელი


\*\*\* ვიცი ყველაფერს ერქვა ღალატი... რალას დავეძებ ნეტავ წარსულთან. ცხოვრებას შევრჩი როგორც ღალატი, ჩემმა ოცნებამ უღვთოდ გამქურდა.

დაისადგურა დიდი ხნით ღამემ, ყველა ითხოვდა თავის წილ ზვარაკს, ბორგავდა ჩემში ვილაცა, სხვა მე, თითქოს მიგნიდან მიხვრეტდა ქალას.

იყო ნაწილი, და იყო მთელი, უკუნი ღამე აღარ დასრულდა, რალაც ზედმეტი დაინგრა ჩემი, აღარ ვიცოდი, ვინ ვარ, რა მსურდა.

ჩემს ფიქრებს გულში იკრავდა წვიმა, ქარი ბერტყავდა შეცივულ ხეებს, და ეს ერთი დღეც, ეშმაკის წილად, ემატებოდა უაზრო დღეებს.

ვიცი ყველაფერს ერქვა ღალატი... რალას დავეძებ ნეტავ წარსულთან. ცხოვრებას შევრჩი, როგორც ღალატი, ჩემმა ოცნებამ უღვთოდ გამქურდა.



მანანა ლეჟაშვილი

\*\*\* მე ყოველთვის მიყვარდა შენი კანის სურნელი, შენი მზერა მხიბლავდა მზისებრ გამათბობელი, მატყვევებდა შეხება შენი ხელის მტვევების... მერე სადაც ნახედი, მერე აღარც დაბრუნდი...

დავალ ისევ დაგეძებ გულმოკლული ფიქრებით. ცარიელი დარდით და მხოლოდ მოგონებებით. არქივს გავშლი ხანდახან, დავასველებ ცრემლებით, უსასრულო მოლოდინს დასასრული არ უჩანს...

გადის წლები უცვლელად, შეუცვლელი გრძნობებით... ემოციადაცლილი კიდევ ერთ წელს დავითვლი და მოვავლევ კალენდარს იმ წლებს როცა დამტოვე მონატრების, დარდის და ცრუ იმედის ამარად!



კაპ მირცხულავა

რა გვეძველება?!

დღეს უღმერთობამ სული გაყინა, გული არ გულობს, ძმა ძმას არ ინდობს, ამ უგულობამ ცრემლები მადინა, რა გვეძველება?! ვდარდობ და ვფიქრობ.

სულს აღარავინ არ უფრთხილდება, სამჯავრო ცოდვის დადგება ჟამი, უფალთან ვიცი ყველას შერცხვება, წარდგენა ყველას მოგვინევს მაინც.

ველარ აღწევენ ეშმას მარყუჟებს, დრო აღარ იცდის, ტაშს უკრავს წამი, უკვე ვერავის გამოვავხიზლებთ, ეშმამ დაიპყრო დრო და ჟამი.

ძმა ძმისთვისაო აღარ ირჯება, საკუთარი ძმის იღვრება სისხლი, ქართველო, ასე რამ გაგამწარა, ხელი გაგვრია შენი ძმის სისხლში.

ლუკმა ძმისათვის ვერ გაგიყვია, გული არ გულობს, სუნთქვაც კი გიმძიმს, საკუთარი ძმა რამ შეგაძულა, ენა სიბილნის ისევე გიჭრის.

სარწმუნოება აღარვის ახსოვს, კარებში ძლიერ ჩამდგარა ეშმა, ასეთი დაცემა ქართველთ არ გვახსოვს, უწინ ქართველს ხომ აბჯარი ესხა.

მოთმინებაც კი უკვე სულს ღაფავს, ნუ მიგვატოვებ უღმერთოდ დღეო, დიდხანია ერთმანეთს ვკარგავთ, ჩვენ შეგვინყაღე მამაო ღმერთო.



ცისანა ხუციშვილი

\*\*\* ზამთარია, მზე კაშკაშებს, იცინის ცა, მე კი რწმენა მათობოს. შურმა, ღვარძლმა, ბოროტებამ არ დაგვძლიოს, მხოლოდ ამას ვნატრობ.

საბრალოა ის მოკვდავი, თავისი და სხვისი რომ ვერ გაუგია, შენიანის ღალატი და გულისტკენა, ეს იგივე შენი თავის შერცხვება და აუგია.



ბერმანე საზანოელი

მენატრები


სიყვარულში ვინ თქვა, დიდი დამნაშავე, ეკრანს შევხედე და თურმე გამამავე.

ვიდრე სიყვარულის თუნდაც ნამცეცია, ცრემლის ბრწყინვალეობაც, თვალმისაცემია.

ვიცი გიყვარვარ და არის, რალაც, ისე, მწარე ნაღველი რომ, თვალებს ცრემლით გივსებს,

ეს ოხერი დარდი მაინც საცემია, შენს თავს ვერ დავუთმობ, ის ხომ გამცემია.

ვხედავ დამბრუნდი, გულის თეთრი მტრედი, როგორ მიყვარხარ და როგორ მენატრები!



გივი მოქოვირიძე

\*\*\* ხომ იცი, ვერც ვერაფერს ვიზამ, ვერც ვერაფერს მიზამ, მოგიხვრი?... რგოლივით, ლაბირინთი მიდგას, გიბრუნდები მიზანს, მოვილტვი...

დრო მიდის, ვერც ვერავინ იტანს, ვერც ვერავის მიჰყავს, მოიცდის... ცოდვილი, ცოდვას ვმატებ სიას, გავურბივარ ფიცარს, ლტოლვილი...

მოცდილი, მაქვს ყოველი სისხლად, მყავდა მყავს და ვიყავ, ყოფილი... ტოტივით, ვარ განგების ნივთად, ვებრძვი მმატებს ხიფათს, ოფლ ღვრილი...

ცოლ-შვილი, შიშს მღვრის, ვარ ჯერ ციდა, მაქვს ჯერ დრო და ცირკად მოვივლი... მოვლილი, მაქვს სამყარო ფიქრად, მაქვს ქუდი უტიფრად, მოხილი...

მოტივი, კვლავ მაქვს ვთქვა აქ სიტყვა, თუ გაიგო მიხვდა, ცნობილი, მოძღვნილი, მხოლოდ მათთვის იქნა, უცნაური რითმა, დროცვლილი... ლოდინი...


შვილი გრძნობს გავს ის სხვას, მეფე კი შვილს ზრდის აქ, მოქნილი. თოვლივით თმა ჭლარას ისხამს, ცდა ნამებით გვიქნას, ბორკილით...

მოშლილი, თიროზინაზს ვკარგავთ, გვხრან, თუმცა კი არ მოხრილი... ხორცთბილი, სულს ჯოჯოხეთი მაქვს, თავს თვითვე ვიტვირთავ, ქოშინი...

როლივით ვირგებ ყველა ხიფათს, შნო მარილივით მაქვს მოყრილი... ლოთივით, ვმატებ ძილს ჩავირთავ, გავურბივარ ფიქრს კვლავ, შტოპ ტვინი.

გვერდები 8-9 გვ.

მეშვიდე გვერდიდან



კაპა კვიციანი

არაფრით ვიმჩნევ

არაფრით ვიმჩნევ მზის უკმარობას, თვალეში ჩამხრჩვალ მთვარის ანარეკლს, არაფრით ვიმჩნევ ცხოვრების ჯვარზე უმეცრებმა რომ ძალით გამაკერეს.

სხეულში ჩამდგარ ნიაღვრის გუბეს, მელანქოლიას, ბეჭზე აკიდულს, რომ ვიგერიებ ნიადაგ ცრუ გველს და რომ ვერა ვგრძნობ დღემდე ცალ კიდურს.

რომ შევეჩვიე დღეების გრგვინვას, ვისაც კი სურდა, რომ გადამთელა, არაფრით ვიმჩნევ, არც ვის ვუამბობ, როგორ გადამცა ბრბომ ანათემას.

არაფრით ვიმჩნევ, არაფრით ვიმჩნევ!



თამარ მატრეველი

სამშობლოს...

რადგან სიცოცხლე ასე მცირეა, მეც ფუტკრის მსგავსად მაქვს ჩემი ვალი, გული ლექსისთვის შემინორია და უტასავით არ მომჭრათ მკლავი.

შენს ვაზს ვფიცავარ თუ გილაღატო, მეგზურად მყავდეს მაცხოვრის ჯვარი, ჩემით არ მოველ, არც ჩემით ნავალ, ვინცნი შენს ბალახს ობოლი კრავი.

ღმერთო მამყოფე იმ იალქანად, აქოჩრილ ტალღის რისხვას ვმალავდე, სამშობლოსაკენ წამოსულ მერცხლებს დაღლილი მხრებით დავიფარავდე,

ანდა ზამთარში მშვიერი ჩხიკვის, ხმელპურისმარცვლად დავაბატარავდე, უფალო, შეგთხოვ სიყვარულისა, ზღვა საიდუმლოს ძალა გამანდე,

რადგან მცირეა ასე სიცოცხლე, დედამინიდან ზეცის კარამდე, ფეხშიშველ ვივლი და გთხოვ ოღონდაც, სამშობლოს ჩემსას დაიფარავდე!



ზაირა ფრუიძე

ლადოს

ლექსების გზას გამოვყვები, გადმოვივლი მთებს და გორებს, იქ, ბარდნალის ასახვევში ქვაზე მჯდომი დამელოდე.

შენს სოფელში ამიყვანე და მასტუმრე პაპის ოდას, სადაც პირტიტველა ბიჭი მუხით მთვრალი დადიოდა.

სიმწიფისგან თავდახრილი გამიღიმებს ბრონეული, ხილის სუფრა გამიშალე შენს ეზოში მონეულს.

შევისვენოთ და ვენვიოთ პაპაშენის ხორგო-მარანს, თვალს შევავლებ ნასათუთარ და ნაფერებ ღვინის მარაგს.

მერე ჩავყვით სოფლის გზებს და ცხენისწყალის სანაპიროს, გთხოვ, უსიტყვოდ არ დამტოვო, როცა ნასვლა დააპირო.

გზაარეულს მომეც რჩევა, რა გზას გავყვე, სად და როგორ, და გზადაგზა მასმენინე, შენი ტკბილი „სალაღობო“.

ბოლოს ჯონოულს ავიდეთ კალმახების დასაჭერად, მერე ფრთები გამოვისხათ მაღლა, ცაში ასაფრენად.

მეგზურობა გამინიე, კიდევ გნახავ ან გინა? მაღლა ციდან დამანახე, „ჩემი ქვეყნის ოქროყანა“.

დავშორდეთო, მითხარ როცა, ჩემთან ყოფნით დაიღლები, შენ კვალს ნათელს აქ დატოვებ, მე უკვალოდ გავფრინდები...



პაატა ცერცვაძე

\*\*\*

სამყარომ როდესაც ფერები დაკარგა, გარემომ ყველაფერს ბინდი რომ დაედო, ჩემს გულშიც ამინდი იმდენად გაავდრდა, რომ თითქოს ყინული, ვერაფერს დაედნო.

სიცივე მთელ სხეულს ნელ ნელა ედებო, იმედი მომავლის, სამყაროს გაქრო, სული კი ბორძიკით, ნელ ნელა ნებდება, ამდენი ტკივილი, გრძნობებზეც დაეტყო.

ტკივილის ატანა, მე ბევრი მიწევდა, არიყო ამდენის გაძლება ადვილი, სამყაროს აკვანს მე არავინ მიწნევდა და თითქოს არიყო აქ ჩემი ადგილი.

დრო როცა გავიდა, მეც თან რომ წამილო და თითქოს გაყინულს სხეული გამითბეს, როდესაც ღიმილით მან გული გამილო, როდესაც ცოტა დრო, გულწრფელად დამითმეს,

მივხვდი რომ ცხოვრება, ყოფილა ნათელი, სიცოცხლის ხალისიც თავისით დაბრუნდა, ანათებს ტაძარში ის ორი სანთელი, რომლებიც არ ჩაქრენ, არასდროს დასრულდა.



თინათინ პაპაშვილი

მე ერთი მყოფნის...

ცოტაც...და მალე მეც ნავალ ღმერთო, დავიდე „ცოდვა“ კიდევ „მარტინი“-ს, დღეს მის გარეშე ძნელია ერთობ, არც ლექსის წერა არის მარტივი...

რადაც ღვთიური ძალით მჭირდები, ვით ამ სტრიქონებს ტრფობის ზედაშე, იმედის ცაზე დაფნას დიდების, თავზე იდგამდით კარგო მზე და შენ.

გიკოცნი ბაგეს...ბავშვობის ხანას, როს კენჭებს ვთვლიდით მიყრილს საყორედ, გული წლების წინ შენთან რომ დამრჩა, იმ კენჭებივით გამოგაყოლე.

მივალ, რამე თუ იქაც მელიან, გულზედ გესობა ეს ნარატივი, აქ უმეცრება ისევ ძნელია და თვითმკვლელობა გახდა მარტივი.

დღემდე ეს გული გრძნობების ტყვეა, თავს არ მანებებს ზმანება ავი, რა საჭიროა „ცამეტი ტყვია“, მე ერთიც მყოფნის მოვიკლა თავი...



ლალი ასაგაშვილი

ოცნებებში

ოცნებებში ავიშენე, ერთი მყუდრო ბუდე.. სიყვარული მეფობდა და არსად იყო მრუდე...

შეგ ბარტყები ჭიკჭიკებდნენ, ჟრიაბულით სავსე.. ნეტარებით შევხაროდი, დავფრინავდი ცამდე...

ეს ოცნება შემეყვარდა, ვერ ვტოვებდი წამით... სიყვარული მაცოცხლებდა, შარბათს ვსვამდი ჯამით..

ვარსკვლავები მიცინოდნენ, ღამე სავსე მთვრალი.. ღმერთი მუდამ ჩემთან იყო, მაკურთხებდა ჯვარით...

მანვიმს

შემომალამდა შენზე ფიქრებში, განაბულიყო მთვარე ეული. მანვიმდა -წვიმა მივლიდა თმებში, თან ქარი ქროდა გადარეული.

წვიმდა და მაინც, მზის სხივს ველოდი, ხან მთვარეს ვთხოვდი ზღაპრულ ნათებას. ცხოვრება თუკი, მაჩვევდა ლოდინს. ალბათ ჩემთვისაც გამონათდება.

შენზე ვხედავდი თვალხილულ სიზმრებს, და ვუყვებოდი დილის აისებს. ცხოვრება რას არ გამოგატარებს, მანვიმს და მაინც გულს ვიხალისებ.

გაზაფხულით ანჯობა

გაზაფხულის ბილიკებს, ყვავილები ათოვდა, მზე კი მდღეოს, ველ-მინდვრებს, თანასწორად ათობდა..

აპრილობდა აპრილი, სევდის ბაღებს არ სცნობდა.. ჩემი გული დაღლილი, გაზაფხულით ანცობდა..

უხაროდა ბუნებას, ხის ფოთოლთა შრიალი და მერცხლების ჭიკჭიკი, ცაში ორომტრიალი...

გაიღვიძა ყაყაჩომ, მინდორ-ველებს ამკობენ... ჩიტუნები ჭიკ-ჭიკით, ათას რამეს ამბობენ...

ბაღში იასამენები დაკინძულან კვირტებად... ყვავილების ქორნილი ნურვის გაგვიკვირდება...

\*\*\*

ლ-არნაკი დილითვე გავავსე ტიტებით, ა-რ მჯერავს, ვილაცის ნათქვამი მითების. ლ-ალისფრად შეღება ბუნებამ ფოთლები, ი-რიბად და მორცხვად ვეხები თითებით.

ა-ისი ჩემს ფანჯრებს მოადგა სხივებით, ს-ამშობლო მადარდებს, ფიქრს ვეღარ ვეღვი, ა-რეულ ქუჩებში დავდივარ ტკივილით, ბ-ობოქრობს ქარი და დარდებს ვერ ვერევი.

ა-უ, რა შორსა ვარ, სამშობლოს ვჭირდები, შ-ორიდან ვერ ვშველი, რაც ძლიერ მანუხებს...

ვ-ერხვების ფოთლებით გაივსო ქუჩები, ი-ნგრევა ქვეყანა.. მიჭერენ მარნუხებს...

ლ-არნაკი ისევე სავსეა ტიტებით... ი-ქნება გონებას მოუხვამოთ ფიქრებით.



# კოეტი - ახალ სიმაღლეთა მკვრივები



საბავშვო მწერლობას ორი ვადაჭკორია ამჟამინდელი — დოდო და ლეილა, დოდო გასული საუკუნის პროზაიკოსია, ლეილა კი — პოეტი.

ახალი საუკუნის პირველი. დოდო ისეთ მოთხრობებს წერდა, როგორცაც აკადემიკოსი ნიკო კაცხოველი ნიგნში „მკერდში დაჭრილი ბუნება“ რომ არის შეტანილი.

ლეილა ვადაჭკორიამ პოპულარობა მოიპოვა შარშან გათხრობის, ყველაფრით შემკული კრებულთა „ციდან მოკრეფილი ვარსკვლავები“. იგი დაიტაცეს ბაგა-ბალებმა, დანყებებითი კლასის ცეროდენებმა. გურჩევ მშობლებს შეიძინონ ეს ნიგნი ავტორთან კავშირით: 555 42 46 54, 2 31 40 39.

ამჟამად ლეილა ვადაჭკორია იუბილარია. როგორც ლადო ასათიანი იტყოდა, 75 წელი „ძუ მგელივით მიხტომია“.

ახლახან ახალი ლექსები მოგვიტანა, ახალი ნიგნის გამოცემას აპირებს, რომელიც, ჩვენი რწმენით, ახალი სიმაღლის მკვრივები იქნება.

## ახალი ლექსები დავბრუნდებით!

მე ბაბუკამ დამიხატა ტურფა მთები, ველები, ზღვა ლივლივა, ცა კამკამა, ყვავილების ფერები.

აფხაზეთში დავბრუნდებით, მისი ცქერით დავტკბებით, ძველ ბუდეში დავიბუდებთ, როგორც მერცხლის ბარტყები.

იცით, რა ბედნიერი ვარ? ნუხელ ვნახე სიზმარი, ავ სულს ვძლიეთ და გავხსენით ჩარაზული ჭიშკარი.

ეზოს მთვარე ანათებდა, სახლს კი — დიდი ლამაზარი... ეს სიზმარი ამიხდებდა, არ გეგონოთ ზღაპარი!

## თუთიყუში

ხედავ? როგორ მისმენს, ლილე, ერთი ციცქნა თუთიყუში, სიტყვა-სიტყვით იმეორებს, რაც მასწავლა ბებომ გუშინ.

— კი, მოსმენა იცის კარგად, მისაბაძი არის მართლაც, თუმცა მე რომ აზრები მაქვს, არც მოუვა იმას აზრად.

## განა მართლა დიდი ვარ

სულ მე უნდა დავუთმო, ხან — ნუკას, ხან — პაატას, მე ხომ დიდი ბიჭი ვარ, ისინი კი — პატარა.

ამდენმა მოთმინებამ, იცით, როგორ დამლალა? განა, მართლა, დიდი ვარ, ჯერ ხუთი წლის არა ვარ.

ალარ მინდა თამაში, ნავალ, მულტილომს ვუყურებ, არც ისინი იტირებენ და მეც არ ვინუნუნებ.

## მზის ქუდი

შენ არ იცი, გუშინ დედამ მზის ქუდი რომ მიყიდა? მზემ სხივები დამაყარა თავის ოქროს მჯილითა.

მინდორს უნდა მივაშურო, ყვავილები დავკრიფო, ვიცი, გვირილები უყვარს, გავახარებ დედიკოს.

მზეს კი როგორ მოვეფერო, მცხუნვარეს და ცხრათვალას? მეც ღიმილებს გავუგზავნი უამრავს და უთვალავს.

## ჩვენი მიშო

ყოველ დილით გაიგონებთ, ჩავიბარებთ ჯართშიო, რაც არ გინდათ, არ გჭირდებათ, ზედმეტია სახლშიო.

ჩვენი მიშო ზუსტად ბაძავს, არ ჭირდება საყვირი, ჯართი, ჯართი, აბა, ჯართი!.. რიხიანად გაჰყვირის.

გაიხარა ძიამ, როგორ, მომეხმარა ბიჭო, ჩვენს მიშოკოს კი ჰქონია მსახიობის ნიჭი.



## ზურაბ მამულაშვილი

### პატარა და კობეა კატოს

ცხრა დეკემბერს დაიბადა ჩვენი ბალათური კატო და სხივით გაიბადრა, დაემსგავსა ციურ მნათობს.

გაიხარა ყველამ გულით, მშობლებმა თუ ახლობლებმა, ცამ ნათელი დაანათლა, სიყვარული — დიდმა მთებმა.

თამარ მეფის მსგავსად მუდამ საქმე ცამდე აეტანოს, კარგი სწავლით, კარგი შრომით თავი ყველას შეაყვაროს.

სადაც წავა და წამოვა სულ იდინოს წმინდა წყაროდ, უფლის ძალამ, ჩვენმა ლოცვამ ავ თვალისგან დაიფაროს.

ჯერ სულ სამი წლისა არი, ამ ცხოვრებას ახლა სწავლობს, მჯერა, კატოს დაბადებით მთელი საქართველო ხარობს.

## ზოგჯერ მაინც ბავიცივით

## იუბილარი

# წინაპიანი წკიპურტები

## გამოყანა

გერმანელები არიან ჰერცელი და მერკელი. ამერიკელები კი — ბუმ-ბრაიზა, კერ-კელი. გვეკითხება მეგრული: რა არისო „კერკელი?“

\*\*\*

„მენცარი რე“ ვანგა. ზოგჯერ არის „ხანგა“, სამი სიტყვა მეგრულია, გამოიცან გაგა!

## „პრაიმნიუსში“

რუსთაველსაც აფორიზმი ალარ უთქვამს ამდენია. ხუხამელი ამ სიბრძნეთა „ბლიც-პასუხში“ ჩამდენია? მიუკერძოებელი ვართ! — გაიძახის ჩვენი ემა, სტუდიაში ჰყავს სტუმრები: თიკა, ეკა, ნიკა, ლენა, პასუხისას თავს ღიმილით უკანტურებს ამათ ყველას, მხოლოდ ერთი ოცნებელი ობოლივით ზის იქ ბოლოს. მწვევე კითხვებს სულ კოხივით იმას აყრის უხვად მხოლოდ. — აზრი დამასრულებინე, — ეხვეწება დიმიტრიო. ანგარიში რამდენია, ამ შეჯიბრში, თუ იტყვიო.

## ომონიძეები

სპორტის ამ სახეობაში ჩემპიონი რომ არიო, იცნობ მაგას, ჩემო გიგო? როგორ არა, — რომარიო.

\*\*\*

ვერ ჩატარდა ვაიმარში „ელგებეტეს“ ვაი მარში, რუსთაველზე კი ვაი მარშით კი მოეწყო ვაი მარში.

## საიმედო რჩევა

პირბადე ხომ საჭიროა, აცრაც ალარ აიცილო, „ომიკრონი“, ეს ვერაგი, თუკი გინდა აიცილო, ხშირად უნდა იცინო და ამით მაინც აიცილო.

## მოლაცენი

ბევრი ოპოზიციელი ალარ არის მოდაში, პირს დააღებს, იქვე ვიცი, რა უყრია გოგრაში.

უფუნქციომ, უსაქმურმა, რა აკეთოს, არ იცის. ეკრანზე თუ აქციაზე მისი ყფა გაისმის.

სწორედ ასეთებსა უყვართ სულ ჩქარ-ჩქარა ლაქლაქი და ამიტომ მუდამ ესხმით ბევრზე ბევრი თავსლაფი.

## მოსა მწარალი



## ზურაბ ქობალია დავბრუნდებულვარ

დავბადებულვარ იმ მარტის თვეში, ყოფილა როცა ნვიმა და თქეში.

ბავშვობამ ჩემმა განვლო ალერსში, ზეცად ვფრინავდი, ძირს არ დავეშვი.

მერე მომწყინდა როცა თარეში, თოკები შევხსენ აფრებს, ავეშვი.

ვიხეტიალე ცოტა მთა-ველში, დასრულდა უკვე უამი თარემის.

დაღმა მივდივარ, თავქვე დავეშვი, რაც კი ვიშრომე მიმდის ვალეში. ამ ცხოვრებისთვის ველარ დავგეშვი, კვლავაც იქნება ნვიმა და თქეში.

როგორ შევხედო უფალს თვალეში, უნდა ვიპოვო სიმშვიდე ტყეში.

## გამომიყენე, მამულა ჩემო,

სულ ახალგაზრდა მეგონა თავი, როცა უფროსებს ვუვსებდი ჭიქებს, დრო შეიცვალა, დავბერდე ლამის, რადგან ჩემს ჭიქებს უკვე სხვა მივსებს.

ალარ ვცეკვავ და ველარცა ვმღერი, ვატყობ, არც არვინ გამინვევს ბისზე, უკვე სამყარომ იცვალა ფერი, სიტყვის არ სჯერა არავის ფიცზე.

დაბინდულია ცისკენ სამზერი, მზეც იშვიათად კრთება ამ ცაზე, დამით კი მთვარე და ვარსკვლავები ფიქრობენ მხოლოდ თავის ციაგზე.

კვლავაც მსურს, ჭიქებს ვავსებდე ღვინით და შემოდგომით კვლავ ვაჭაშნიკო, გამომიყენე, მამულა ჩემო, სანამ დავდივარ ჯერ სავარჯიშოდ.

# ახალი ლექსები

## ომი ომია

ასე მეგონია, ომი ომია, სადაც გინდა მძვინვარებდეს, ვერ აოკებს მას ვერავინ, - ჯარისკაცთა ფარულ ვნებებს.

ომში გარდაუვლად ჩნდება, მას ფარულად ყველა ხვდება, - ჯარისკაცი მკვლელი ხდება, ამდენ მკვლელს რა ეშველება?!

სულერთია რომელ მხარეს, რომელ ფრონტზე იბრძვის იგი, უფლის ელის ის განაჩენს, განაჩენთან თავად მიდის.

რა ვქნა, მკვლევებს ვერ ვამართლებ, თუმც სამშობლოს ვუნთებ სანთლებს, სხვა ვერავინ დაძრავს ამ მთებს, მას ლალატი რომ არ ახლდეს.

ჩვენი გმირი სხვას რომ ჰკლავდა, სხვათა გმირი ჰკლავდა ჩვენებს, აქ გმირობას ვანიჭებთ და იქ უფალი შეაჩვენებს.

ომი თუ გვსურს, შევებრძოლოთ კოვიდებს თუ ომიკრონებს, ასე ვფიქრობ, მალე, ვინძლო, დავამარცხებთ თავად ომებს.

# ლექსები - გაზაფხულივით მფეთქავი



## ჩემო თბილისო

კვლავ დამესიზმრა.. ჩემს თბილისში ვიყავი თითქოს..

გაოგნებული ჩემი სახე, ვადარე ხვითოს.. მივუყვებოდი მტკვრის ნაპირებს, როგორც ჩვეული.. მე სამშობლოდან გადახვენილ, გადაჩვეული..

მეტეხის ხიდთან დამენია ქარი ფრიალით.. ქართვლის დედა კი ხელს მინვდიდა სავესე ფიალით.. ძველი თბილისი, გულს უღებდა სტუმარ-მოყვარეს.. ვერაგმა მტერმა, მის საუნჯეს, რა არ მოპარეს...

სხვა გძნობა არის, როცა დახვალ თავისუფალი... შენს სამშობლოში გადმოგყურებს თავზე უფალი... ჩემო თბილისო! - დაგიქარგავ ლექსებს რითმებით... სულ მოკლე დროში, ძველებურად ერთად ვიქნებით...

გასეირნებამ ჩემს თბილისში, მაცხო მალამო... ბევრი გენეროს, არ დადუმდე ჩემო კალამო... გამომეღვიძა, უცხო ქვეყნის ვიყავ ხიზანი... მაგრამ, არასდროს დამიკარგავს, ჩემი მიზანი...

## ქარის ქროლვა

როცა ასე, უსიცოცხლოდ ქრიან დღენი, როცა ფიქრი, ფიქრზე რჩება ჩივილად. ვის ანაღვლებს, ეს შავ-თეთრი დღენი შენი, რაც ცხოვრებამ დაგიტოვა ტკივილად.

ნათლად ვხედავ, სადაც ნისლში გავეხვიე, ყველამ უხმოდ მიმატოვა ბაქანზე, ვერც ბავშვობის სანადელი ავისრული, საკერებელს სევდით ვკემსავ მაქმანზე.

ქარი ქრის და ჩემს ოთახში ფარდას არხევს, ძველ სკივრიდან მოგონებებს ვალაგებ. ეს ცხოვრება, რას დაგვიტოვა თავზე სატეხს, ქარის ქროლვაც, პასუხს არსად არ აგებს.

## მინდა მტეროდეს

მინდა, მუდამ გაზაფხულის მფეროდეს, ზამთარმაც ვერ შემიცვალოს იერი.. შრომანების სურნელება მათობდეს, მიცინოდნენ ლურჯთვალეა იები...

მინდა, როცა გაზაფხული დადგება, როცა, ტყეში იყვავილებს იელი... სიძულვილი არვის გულში არ ჰქონდეს, აღარ ჰყავდეს, ჩემს ქვეყანას მშიერი...

რომ გაზაფხულს, სიყვარული მოჰქონდეს, და არ იყოს არასოდეს გვიანი... ძველებურად ვარდს ბუღბული ეტრფოდეს, საქართველო იყოს მარად მთლიანი ..

## მე დავიზადე

მე დავიზადე -ახალ წლის დილას, თოვლის ფიფქები მირწევდნენ აკვანს. და სიყვარული სამშობლო მინის, იმ დღიდან გულით, ზეცამდე დამაქვს.

მე დავიზადე -პირველ იანვარს, როცა სიცვიე დაძრწოდა კარში. თოვლს დაეფარა, სოფლის შარავზა, ყინვა მეფობდა მთასა და ბარში.

მე დავიზადე -ქათქათა თოვლი, როცა აკვანში მიქსოვდა არტახს. დაუნდობელი ცხოვრება ბრძენი, ზადაგზა მწარედ, მირტყავდა მათრახს.

მე დავიზადე -იანვრის თვეში, თოვლის ფანტელებს გაჰქონდათ როკვა. მას მერე, როცა ავიდგი ფეხი, სიყვარულს ცრემლი, ტკივილიც მოჰყვა.

მე დავიზადე -დრო გადიოდა, ბევრჯერ ვიგემე დაცემა, მარცხი. არსად მიცდია ნიღბის მორგება, არ მჭირდებოდა, გრიმი და საცხი.

მე დავიზადე -როცა ბარდნიდა, გაყინულ მინას ეხატა ფიფქი. რა დრო გასულა დაბადებიდან, სათქმელს უთუოდ ლექსებში ვიტყვი.

## სალოლობო..

ყვლოდერებულ ყაყაჩოს, უცებ შამოხვდი გზად... ისე ამყად მიცქერდა, ჩემი მოხიბვლა სცადაო..

ყელს უმშვენებდა ხალები, თვალებს ნაბავდა ნელო... მის სილამაზემ დამეცა, გულს დარდი შამეყარაო..

ვერ შავძელ ხელის კარება, ღმერთმაც არ მამცა ძალო... თავს უძღურება შამეტყო და თვალთაც დამიბნელო..

იქნებ არ ჯობდა მეხილა, იქნებ მეპოვნა ძალო... მისი სიტყურფის ხილება, ასე რად მამეძალო..

ხვალაც - იმ გზაზე ჩავივლი, თვალს გავუწნორებ თანაცო... ეს ჩემი სულის კივილი,

იქნებ გაიგოს მანაცო..

## ქორწინება ზღვასთან

მე დღეს ჩუმად, ვიქორწინე ზღვასთან, მზის ჩასვლისას დავინერეთ ჯვარი... მონმეებად თოლიები გვყავდა, არა მქონდა სულ არაფრის ჯვარი...

ზღვას მოჰქონდა გვირილების ტალა, და მომხვია ვებურთელა ხელი... ამიტაცა მეცხრე ცაზე მალა, დამანახვა ვარსკვლავების ველი...

მის ტალღებში ვნებვირობდი დიხანს, დაგვნათოდა მთვარის შუქი მკრთალი.. მე დღეს ჩუმად ვიქორწინე ზღვასთან, და ვიყავი სიყვარულით მთვრალი..

## ლალი ასაგაშვილი დრო

დრო ჩაივლის, როგორც წყალი, როგორც სწრაფი მდინარე, ამ ცხოვრებას, რა ვუთხარი ბევრი რამე ვინანე.

დავდიოდი ვითომ ფხიზლად, ხან მოვხუჭე თვალია, შეცდომების შესწორება, ჩვენთაგანის ვალია.

ბევრმა წყალმა ჩამიარა, ბევრიც მე გადავცურე, ის ტკივილი, რაც გულშია, ვერსად, ვერ გავაცურე.

დრო ჩაივლის, წლები გავა, როგორც სწრაფი მდინარე, ურემი რომ გადაბრუნდა, თურმე ვიყავ მდინარე.

გზაც მიჩვენა, ამ ცხოვრებამ, ბევრჯერ სულ სხვას მივინდე, სინანული გვიანია - და კუთხეში მივეგდე.

ჩამიარა ბევრმა წყალმა, შფოთიანმა მდინარემ. არ ისმინა ჩემი თხოვნა რაც კი გულით ვინატრე.



## ნიგინი ასალი - პროზაეზი კველი „მეგობარი და მგლისფერი ტურები“

### აქვნივა დავნილავს

გამომცემლობა „ზენაარმა“ გამოსცა აფხაზეთიდან დევნილი მწერლის მურმან ხურცილავას ნიგინი - „მგლები და მგლისფერი ტურები“

აფხაზეთიდან დევნილმა პოეტმა მურმან ხურცილავამ ოცი წელი უცხო ქვეყანაში გაატარა, სამშობლოს მხოლოდ 2013 წელს დაუბრუნდა. ის მრავალი პოეტური კრებულის, აგრეთვე მოთხრობების, მოგონებების და ესეების ავტორია. გამოცემული აქვს ლექსებისა და თარგმანების ერთტომეულიც. ახალ რომანში ასახულია

აფხაზეთის ომის ტრაგედია (რომლის სიმძიმე — მცირე ხნით ტყვეობა და დახვერცის შიშიც - თავად იწვინა), აღწერილია მშობლიური კუთხიდან განდევნილთა არასახარბიელო ცხოვრება. მწერალი ეხება თანამედროვეობის სხვა საჭირობოტო საკითხებსაც.

რომანის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ავტორის პროზაული ნაწერების ნიგნში „მგლები“ (თბილისი, 2012), მეორე ნაწილი კი პირველად ქვეყნდება.

„ნიგნში აფხაზეთიდან დევნილი ერთი კაცის ცხოვრების ფონზე შეეცადა მეჩვენებინა გასული საუკუნის ბოლო წლების საქართველოს ბედუკუღმართობისა და ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობის სურათი. მე ვარ მოწმეც და რიგითი მსხვეპრიც იმ დიდი ტრაგედიისა, რასაც აფხაზეთის ომი ჰქვია.“ - წერს ავტორი ნიგნის ბოლოსიტყვაობაში და ეს მართლაც რომ ასეა.

ნიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის და მისი შეძენის მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ავტორს ტელეფონზე: 597 03 42 75.



## ნაირა ნიყარაძის ხსოვნას მარად იცოცხლებ შენი ლექსებით

ნოდარ დუმბაძე, ნოდარ შამანაძე, გიორგი ნერეთელი...

მამინ საბავშვო მწერლობა ჰყვავდა. მწერალ ელიზბარ უბილავას თაოსნობით დაარსდა საბავშვო ნიგნის სახლი, სადაც შემოქმედებითი საქმიანობა ჩქეფდა. გამოდიოდა ალმანახი „საყნაწვილო ლიტერატურის მოამბე“, დამწყებ მწერალთა დამკვალთანებელი ჟურნალი „ლილე“ პოეტ თედო ბექიშვილის რედაქტორობით. ამ პატრიოტულ საქმიანობაში უალრესად დიდი წვლილი შეიტანა ნაირა ნიყარაძემ, რომელმაც თავისი დიდი შემოქმედებითი პოტენცია ამ საუკუნეში გადმოიტანა. იყო გაზე „სახალხო განათლების“, ჟურნალის „ათინათის“, „ანთოლოგიის“ ხელმძღვანელი ავტორ-დამამშვენებელი.

მისი გედის სიმღერა აღმოჩნდა ნიგნი „შრილა ცაცხვი“, სადაც მწერალს თავისი მოვალეობა ასე უსახავს: „შენ ასე გზრდიდა სამშობლო, მისი წარმტაცი ბუნება, ყაყაჩოვ, იავ, ზამბახო, იყავ მტრებისგან უვნებლად. იყავი უხვი, ალალი, დიდ მზეს უძღვენი სალამი, წერე, იკითხე, იშრომე, არ გააჩერო კალამი!“ პოეტმა პირნათლად შეასრულა ეს დავალება.

გალაკტიონი წერდა: „შენ უკვდავების ხარ ბინადარი“. დიახ, მარად იცოცხლებ შენი ლექსებით, ნაირა!

კოლეგა მეგობრების სახელით: გულნაზ ხარაიშვილი, ლეილა ვადაჭკორია, მანანა ზაზიკაშვილი, ბორის მიშველაძე, ზურაბ ქობალა.

გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქცია

მთ. რედაქტორი  
ბორის მიშველაძე  
555 596 050  
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე  
593 422 258  
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“  
ს/ს 402010587  
ს/ს თბილისი ბანკი:  
GE 94 TB7249236080100007

რედაქტორია  
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;  
ნათელა ქიშერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;  
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;  
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მეზონია 591 320 705;  
გერმანე სახანოელი 593 022 913;  
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;  
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com  
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge  
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N1 (4600)  
28 თებერვალი / 2022 წელი  
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან  
ISSN 1987-9113  
9 771987 911009